ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ირმა ინაშვილი: „გადადგეს კვირიკაშვილი!“



გვ.5

26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი I



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ორშაბათი, 30 ოქტომბერი, 2017 №257 (7491) ფასი: 50 თეთრი

# მიშა კაჭკაჭიშვილი: „რას წარმოვიდგენდი, რომ მერაბიშვილის შემდეგ შს მინისტრის გადადგომისთვის ქუჩაში გამოსვლა კიდევ მომიწევდა“

„ნუცუბიძის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გატარებას არ ვაპირებთ“



„ჯაბა ჯიშკარიანსა და ლევან გოგიჩაიშვილს სათქმელს პირში ვეტყვი“ გვ.4

**არასამთავრობოები და სამოქალაქო საზოგადოება შსს-თან აქციებს იწყებენ**

## „თუ კალაძეს კრიმინალებთან ვალდებულებები არ აქვს, ის კარგი მერი იქნება“ 

გვ.2



მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალების ბრახაბრუხი უკვე ყელში ამომივიდა!“

## „სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება გადაწყვეტილია“



ტრისტან წითელაშვილი: „მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, მოემზადოს არეულობისთვის“ გვ.5

### სამართალი გვ.7

**პაატა პავლიაშვილის დაკავების პროცესი პატრულის სამხრე კამერებზე დაფიქსირებული არ არის**



პროკურატურა განცხადებას ავრცელებს

**ვაჟა და ვანო ხარიაშვილები და თორნიკე ქალდანი სასამართლომ გაათავისუფლა**



რა მოხდა 300 არაგველის მეტროსთან



**ივანიშვილი–პავლოვას სკანდალი გრძელდება** გვ.4

მოუწევს თუ არა ექსპრემიერს პარიზში დაკითხვაზე ჩასვლა

### ეკონომიკა გვ.6



**პატარკაციშვილები თბილისის ცირკს ყიდიან. საწყისი ფასი 18 მილიონი დოლარია**



**მერაბ კაკულია: „ლარი კონკურენტულ დიაპაზონში ტრიალებს“**

**ზარაფხანა იყიდება**

ISSN 1987-9385

**7** მაღაროელ დავით ფორჩხიძის დაღუპვას მისი შვილი შეესწრო

**3** რუსეთი სოხუმში სპეციალიზებულ საბაჟო საგუშაგოს ქმნის

**10** ქურთების წინააღმდეგ მთავარ მებრძოლად თურქეთი გამოდის?

**3** სოსო ცინცაძე: „სეპარატიზმი ისეთი აქლემია, რომელიც კრემლთანაც დაიჩოქებს“

# „თუ კალაძეს კრიმინალებთან ვალდებულებები არ აქვს, ის კარგი მერი იქნება“

## მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალების ბრახაბრუხი უკვე ყელში ამომივიდა!“

ნონა ცაბაძე

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, არჩევნებიდან ერთი კვირის თავზე როგორია თქვენი შეფასებები? ნაციონალებმა უარი თქვეს მეორე ტურზე, თიანეთში დამოუკიდებელმა კანდიდატმა მოუგო „ოცნების“ კანდიდატს. სასამართლომაც მეჭიაურის მხარე დაიჭირა. გააბრაზა ქუცნაშვილმა ხელისუფლების მესვეურნი თუ რატომ დადგა ეს შედეგი?***

– როგორც ჩანს, გაალიზიანა ქუცნაშვილის გულახდილობამ ხელისუფლება და ის დასაჯეს, მეტი არაფერი. არჩევნების შედეგებს რაც შეეხება, სხვას ელოდა ვინმე?! მე სხვას არაფერს ველოდებოდი. საჭირო იყო ერთიანი კანდიდატის წინ წამოწევა. არ მოხერხდა ამის გაკეთება, ყველამ თავის ამბიციებს გადააყოლა საერთო სახალხო საქმე და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ! ცხადი იყო, რომ ოპოზიცია ასე დაქსაქსულად დამარცხდებოდა.

***– არ მოინდომეს გაერთიანება?***

– დიახ, საკუთარ ამბიციებს გადააყოლეს ყველაფერი. თუ ასე უნდათ გაგრძელება, მაშინ, როგორც ბატონი სააკაშვილი ამბობდა, მთელი ოპოზიცია ჩაირეცხება! ჩაირეცხება ერთი მიმართულებით, მოგეხსენებათ, სადაც ჩაირეცხებიან ხოლმე.

***– ეს არჩევნები ხომ არ იყო ამ ჩარეცხვის დასაწყისი?***

– დიდი ხანია დაიწყო ეს ყველაფერი. ოპოზიციამ უკვე ზედიზედ მეხუთე არჩევნები წააგო. ხელისუფლებამ მოიგო ზედიზედ მეხუთე არჩევნები. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციაში, უბრალოდ, არ არის შესაბამისი ძალები, არ არის იდეები, არ არის ახალი სახეები. საზოგადოებას არ სჯერა ოპოზიციის. ხელისუფლებაც არ მოსწონთ, მაგრამ ოპოზიციაც არ არის მისთვის



მომხიბვლელი.

***– ნაციონალების მხრიდან მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი რით ახსენით?***

– თქვენ არ დამამთავრებინეთ. მე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი შანსი აქვს ოპოზიციას და ეს გახლავთ საპრეზიდენტო არჩევნები. თუ აქაც ვერ მოახერხებენ ერთიანი კანდიდატის წამოყენებას და მის გარშემო დარაზმვას, თუ არ შექმნიან გაყალბების საწინააღმდეგო შტაბს, რომელიც დაიწყებს მუშაობას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და აღნუსხავს ყველა დარღვევას, 2020 წელსაც იმავე შედეგს მივიღებთ. ეს ოპოზიციაც მაქსიმალურად დაიშლება. ამ შემთხვევაში მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას. ეს გვეხება ჩვენც და სხვებსაც. თუმცა ჩვენი მხრიდან მზაობა იმისა, რომ გავერთიანდეთ, ნამდვილად არის.

***– ნაციონალებზე რას იტყვით, რატომ თქვეს უარი მეორე ტურზე?***

– სიმართლე გითხრათ, მათი მხრიდან ეს ბრახაბრუხი უკვე ამომივიდა ყელში! მათზე აღარაფრის თქმა მსურს. იქ ბევრი ჩემი მეგობარიც არის და ვერიდები ხოლმე მკაცრ გამოსვლებს. თუმცა ერთია ადამიანური ურთიერთობები და მეორეა პარტიული საქმიანობა. ისმის გაუთავებელი ლაპარაკი, ჩვენ ამას ვიზამთ, ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ მოვიგებთ და მერე, საბოლოო ჯამში, არაფერი ხდება. მიდის გაუთავებელი ლაილაი, ჩვენ დავიცავთ ჩვენს ხმებს, არავის დავუთმობთ, მერე აღმოჩნდება, რომ ხმებსაც ვერ იცავენ.

***– ხომ არ გარიგდნენ „ოცნებასთან“?***

– არა მგონია. ამდენი ხანი სულ გვესმოდა, აბა, მეგობრებო, დავირაზმოთ, მეორე ტური უნდა იყოს და იქ უნდა გავიმარჯვოთ! უკაცრავად, მაგრამ, აბა, სად არის მეორე ტური?! გაყალბდა არჩევნები და დედა, ეს რა მოგვივიდაო! რა, იმის ილუზია ჰქონდათ, რომ არ გაყალბდებოდა პირველივე ტურში?! მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ან თავს ისულელებენ, ან ჩვენ გვასულელებენ.

***– რას იტყვით თბილისის ახალი მერის შესახებ? ამბობენ, რომ კალაძე კარგი მერი იქნება. ვისმენთ შეფასებებს, რომ ის უკვე ფარულად ებრძვის კვირიკაშვილს, რომ მერის თანამდებობა მას სჭირდება როგორც ტრამპლინი უმაღლესი თანამდებობისკენ. რას იტყვით თქვენ?***

– ჩვენ ამაზე ადრეც გვისაუბრია და მე მითქვამს, რომ ის ამ თანამდებობაზე არ შეჩერდება. მისთვის მნიშვნელოვანია პირველი პირის პოზიცია და ის იბრძოლებს ამისათვის. კალაძე ბევრად უკეთესი მერი იქნება, ვიდრე ნარმანია. ის იყო ცარიელი ადგილი. ნარმანია უჭკუო ადამიანი ნამდვილად არ არის, მაგრამ მისი გამოყენება მოხდა სრულიად უგვანოდ და უმსგავსოდ იმ ადგილზე, რომელსაც ის სრულიად დაუმსახურებლად იკავებდა. რაც შეეხება კალაძეს, ის უფრო გაბედულია.

***– მისი მართვა და მისით თამაში რთულია, გაცილებით დამოუკიდებელი ფიგურააო. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– რა თქმა უნდა! პირველ რიგში, ის იქნება დამოუკიდებელი ფიგურა, რაც ძალიან კარგია ქალაქისთვის. თუ ბატონი კალაძე თავს მოთოკავს და საახლობლო და სამეგობრო წრეს არ გაუშვებს კორუფციის გზით, ეს ქალაქისთვის ძალიან კარგი იქნება. კალაძე ჭკვიანი ადამიანია. ის სხარტად აზროვნებს, ძალიან სწრაფად ითვისებს ყველაფერს. მისი ნიჭით ნამდვილად მოხიბლული ვარ. ადამიანში ნამდვილად ვაფასებ იმ ნიჭს, რომ სწრაფი ათვისების უნარი აქვს. კალაძის არცერთ თანამდებობაზე დანიშვნის არ შემეშინდებოდა. ეს ადამიანი ძალიან სწრაფად ახერხებს ამ უნარების შეთვისებას. აქ ერთადერთი საშიშროება არსებობს.

***– რა ტიპის საშიშროებაზე მიანიშნებთ?***

– ის, რომ მას აქვს გარკვეული ვალდებულებები ვიღაც-ვიღაცების მიმართ.

***– კერძოდ?***

– როგორც მოარული ხმები ამბობენ, მას ძალიან სერიოზული ვალდებულებები აქვს კრიმინალურ სამყაროსთან. თუ მართლაც აქვს ასეთი ვალდებულებები, ეს ძალიან მძიმე შედეგს მოიტანს ქალაქისთვის.

***– ვალდებულებები რა თვალსაზრისით?***

– როდესაც გეხმარებიან რაღაცის მიღწევაში, მერე გთხოვენ ათჯერ მეტს. უარის თქმა ამ სამყაროში ძალიან მძიმედ ისჯება. თუ ასეთი ვალდებულებები მართლა არსებობს და თუ ეს ჭორი არ არის, მაშინ ეს ძალიან მძიმედ აისახება ქალაქზე. დარწმუნებული ვარ, ის, რაც გაზპრომთან მოხდა, მისი ხუშტურები არ იყო, რაღაც ვალდებულებებთან იყო დაკავშირებული და ასე შემდეგ. რაც შეეხება იმას, რომ მას აქვს ამბიციები თუნდაც საპრემიერო, მე ამას მივესალმები. ახალგაზრდა ადამიანს ამბიციები უნდა ჰქონდეს. ეს მაიმედებს, რომ ამ ამბიციების გამო ის ნეპოტიზმსა და კორუფციაზე უარს იტყვის, რომ უკეთ წარმოჩნდეს ხალხის წინაშე. მე თბილისი ძალიან მიყვარს და მინდა, რომ ამ ქალაქს ყველაფერი რიგზე ჰქონდეს.

## შალვა ნათელაშვილი: „ავლაბარში ყოფილი სამხედრო ტერიტორია კახა კალაძის მფლობელობაშია“

ლეიბორისტული პარტიის წევრები ავლაბარში, ყოფილ სამხედრო ტერიტორიაზე შეიკრიბნენ.

ადგილზე იმყოფებოდა პარტიის ლიდერიც. როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ტერიტორია კახა კალაძეს რამდენიმე წლის წინ დაბალ ფასად გადაეცა და ის ახლა მის მფლობელობაშია.

ლეიბორისტული პარტია კალაძის ამომრჩევლებს მოუწოდებს, მოვიდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და მოითხოვონ მისი სახელმწიფოსთვის დაბრუნება.

ნათელაშვილი ფიქრობს, რომ ამით მერიის ბიუჯეტში თანხების ოდენობა გაიზრდება.

– მე მოვუწოდებ ამ ბატონს, დააბრუნოს ქალაქის კუთვნილი სივრცე დედაქალაქის ბიუჯეტში და ერთი მილიარდით გაიზრდება ის სოციალური თანხები, რომელიც ქალაქს ესოდენ სჭირდება, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.



ლეიბორისტული პარტიის ლიდერის ამ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ უპასუხა.

– ასეთი ტიპის საპროტესტო აქციები გარკვეულწილად იმის მაჩვენებელია, რომ რამდენიმე წაგებულ პარტიას, თავის ამომრჩეველთან და თავის თავთან გამართლების ერთადერთი საბუთი ის გახლავთ, რომ მათ სხვაზე გააკეთონ აქცენტი და გამოთქვან ასეთი გაურკვეველი კრიტიკა, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

**მედიანიუსი**

## საქართველოს მთავრობა გმობს კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას

საქართველოს მთავრობა გმობს კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას და მხარს უჭერს ესპანეთის მთავრობის მიერ განხორციელებულ მცდელობებს, აღადგინოს კანონიერება.




ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს მთავრობის განცხადებაში.

მედიანიუსი მთავრობის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს ესპანეთის სამეფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში და კატალონიას განიხილავს ესპანეთის განუყოფელ ნაწილად. საქართველოს მთავრობა გმობს კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას და მხარს უჭერს ესპანეთის მთავრობის მიერ განხორციელებულ მცდელობებს, აღადგინოს კანონიერება და დაარეგულიროს სიტუაცია ესპანეთის კონსტიტუციის, კანონის უზენაესობისა და ესპანეთის ყველა მოქალაქის უფლებების პატივისცემით.

საქართველოს მთავრობა დიდად აფასებს ესპანეთის სამეფოსთან, როგორც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან პარტნიორთან, მტკიცე თანამშრომლობას, რომელიც საერთო ღირებულებებსა და ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთკავშირებზეა დაფუძნებული, – ნათქვამია მთავრობის განცხადებაში. **მედიანიუსი**

## რომან გოცირიძე: „სამეგრელოში ფაროსანა ფერეროსა და სხვა უცხოელი ბიზნესმენების პლანტაციას არ გაჰკარებია“



ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე ფეისბუქის პირად გვერდზე ფაროსანას წინააღმდეგ მთავრობის მიერ გატარებულ ზომებს აკრიტიკებს.

– სამეგრელოში ფაროსანა ფერეროსა და სხვა უცხოელი ბიზნესმენების პლანტაციას არ გაჰკარებია. აი, რით განსხვავდება მთავრობის მიერ გაკეთებული საქმე კერძოსაგან. არადა, ბიუჯეტიდან 15 მილიონი ლარი ფაროსანას შეაჭმევინეს, – წერს რომან გოცირიძე.

**მედიანიუსი**

## კახა კუკავა და დიმიტრი ლორთქიფანიძე მთაწმინდის საარჩევნო ოლქში ხმების გადათვლას ითხოვენ



საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო“ მთაწმინდის ოლქში უბნების შედეგების ხელახალ გადათვლას მოითხოვს.

ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში 28 ოქტომბერს გაიმართა სასამართლო პროცესი. ბლოკის ინტერესებს პროცესზე წარმოადგენდნენ კახა კუკავა და დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ბლოკმა პროცესზე მიიყვანა მოწმე, რომელიც როგორც ადასტურებს, რომ მთაწმინდის №13 უბანზე ხმა მისცა „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალ საქართველოს“, თუმცა შემაჯამებელ ოქმში ბლოკს უწერია 0 (ნული) ხმა.

„დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, ამას გარდა, ოქმებში აღმოჩენილია არაერთი არსებითი ხასიათის დარღვევა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სეპარატიზმი ისეთი აქლემია, რომელიც კრემლთანაც დაიჩოქებს“

ნათია ხურცილავა



## სოსო ცინცაძე: „კატალონიის შემთხვევას სოხუმსა და ცხინვალს ვერ შევადარებთ“



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჭრილში ესპანეთში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, კატალონიაში განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებდით?***

– კატალონიელი სეპარატისტებისთვის არასასიამოვნო სიურპრიზად იქცა, პირველ რიგში, მათი ლიდერისთვის, ევროკავშირის, დონალდ ტუსკის შეუვალი პოზიცია. მათ მაცდუნებელი პრაქტიკა ჰქონდათ, რომელმაც ისინი შეცდომაში შეიყვანა, რომ ევროკავშირი, ტრადიციულად, თვალს ხუჭავს და თითქოს ეგუება სეპარატისტულ გამოხდომებს აგერ უკვე 20 წელია, დაწყებული საქართველოთი, მთიანი ყარაბაღითა და დნესტრისპირეთით გაგრძელებული.

***– თუმცა შუაგული ევროპა სხვაა, როდესაც შენ გეხება.***

– შუაგული ევროპა იყო კოსოვო. კოსოვოს პრეცედენტს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დღეს იმკის ევროკავშირი. თუ კოსოვო შეიძლება დამოუკიდებელი იყოს, რატომ არ შეიძლება, კატალონია იყოს? ეს აქვთ მაგალითად. განსხვავებით სხვა რეგიონებისგან, სადაც მართლაც სამოქალაქო დაპირისპირება, ომები იყო და რაც ჩვენც გამოვიარეთ, კატალონია მაინც ევროპაა და, როგორც ევროპას შეეფერება, ისე იქცევა, მშვიდობიანად, რეფერენდუმით ითხოვს ამ უფლების დაკანონებას.

კოსოვოს, გნებავთ, საქართველოს მოვლენების დროს, ევროპა, ევროკავშირი სრულიად სხვა მდგომარეობაში იყო. ბრექსითმა ევროკავშირის სკამის ოთხი ფეხიდან ერთ-ერთი ძალიან ძლიერად შეარყია. როგორც ჩანს, ბრექსითის შემდეგ ბრიუსელში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეს არის საბოლოო წერტილი.

კატალონიელ სეპარატისტებს ბრიუსელმა პირდაპირ უთხრა, გახვალთ ესპანეთის შემადგენლობიდან, გელით ესა და ეს, რომ ევროკავშირის შემადგენლობაში ცალკე ერთეულად ვერ იქნებით წარმოდგენილი, რომ მათ ყველა დანარჩენ ევროკავშირის სახელმწიფოსთან მოუწევთ თავისუფალი ვაჭრობის წარმოება, კატალონიას კი არა, აგერ ინგლისს გაუჭირდა თავისუფალი ვაჭრობის დამყარება ევროკავშირის სხვა წევრებთან, რადგან ყველა თავის ბაზარს იცავს. ტერეზა მეი, ინგლისის პრემიერი, არ არის გამორიცხული, რომ ამ ყველაფერს გადაჰყვეს კიდეც, რადგან ბრექსითი ვერ სრულდება დაანონსებულ ვადებში. ევროკავშირი ასე მარტივად არ ამთავრებს გაყრის პროცედურებს.

ზოგადად, სეპარატიზმის სათავე, სხვა ყველაფერთან ერთად, არის ფული. კატალონია მდიდარია. ისინი ფიქრობენ, რომ უფრო მეტს აძლევენ მადრიდს, ვიდრე უკან იღებენ. იგივე ხდება ვენეციაშიც. დოჟების შთამომავლებმა უცებ დაითვალეს, რომ 70 მილიარდ ევროს უხდიან ცენტრალურ ხელისუფლებას და უკან მხოლოდ 30 მილიარდს იღებენ.

სეპარატიზმს ასევე კვებავს ეიფორია, დამოუკიდებლობის ჟინი, რომელიც ორლესული მახვილია.

***– ამ პრეცედენტებს შეიძლება, დომინოს ეფექტი ჰქონდეს?***

– თუ კატალონიას გაუვიდოდა, მაშინ არა მხოლოდ ვენეციაში მოჰყვებოდა ამას დომინოს ეფექტი, არამედ ჩრდილოეთ იტალიაშიც, სადაც რეფერენდუმი უკვე დანიშნულია და სხვა ბევრ ქვეყანაშიც.

***– კატალონიის ფაქტი აფხაზებს, ოსებს უფრო შემატებს ძალას, უფრო თავდაჯერებულები გახდებიან?***

– თუ კატალონიელმა სეპარატისტებმა მიზანს მიაღწიეს, მაშინ ძალასაც შემატებს და კიდევ უფრო მეტიც იქნება ეს მოვლენა, თუმცა ჯერჯერობით ჩვენ ამ საშიშროების წინაშე არ ვდგავართ. რაც შეეხება ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სულ ცოტა ხნის წინ, ისინი ყოვლად დაუშვებელია. ვგულისხმობ იმას, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი მედოევი იტალიაში რეგიონის ლიდერებს ხვდება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი. იტალიაში ჩვენმა ელჩმა ამის გამო პროტესტი გამოთქვა?! ან ჩვენ თუ დავიბარეთ იტალიის ელჩი საქართველოში და განმარტება მოვთხოვეთ?!

დღეს 70/30-ზეა მადრიდის სასარგებლოდ. პირები, რომლებიც დგანან ასეთ დროს სეპარატისტულ იდეებთან, ძალიან ბევრს განსაზღვრავენ ხოლმე. კატალონიის სეპარატისტი ლიდერები არ არიან სეპარატისტი ბოევიკები. კარლეს პუჩდემონს არძინბასა და ხაჯიმბას ვერ შევადარებთ. ის მაინც ცდილობს, როგორმე დამოუკიდებლობა მშვიდობიანი გზით მოიპოვოს. ის ამბობს, რომ დემოკრატიული პროტესტის უფლება აქვთ და ამ გზით მოიპოვებენ დამოუკიდებლობას. ეს კი შეიარაღებულ აჯანყებას გამორიცხავს.

კატალონიელი, ბასკი სეპარატისტების გვერდით რუსეთი არ დგას. დნესტრისპირეთში, ყარაბაღში, ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის დახმარებით სეპარატისტებს თვალი იარაღისკენ ეჭირათ. მართალია, სეპარატიზმი ყველგან სეპარატიზმია, მაგრამ ეს ორი მოვლენა განსხვავებულია. ჩვენს შემთხვევაში, როგორც დანარჩენ ორ შემთხვევაში, წამყვანი იყო რუსეთის ფაქტორი. აფხაზური და ოსური სეპარატიზმის შემთხვევაში რუსეთის ფაქტორმა განსაზღვრა ყველაფერი. რომ არა რუსეთის ფაქტორი, სულ სხვანაირად წარიმართებოდა ყველაფერი და ეს შედეგიც არ გვექნებოდა, არც ომი იქნებოდა და არც ასეთი სასტიკი შედეგები.

დღეს რუსეთი კატალონიას მხარს უჭერს, მაგრამ ოფიციალურ დონეზე ლავროვის უწყების განცხადება ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. რუსეთსაც ეშინია, რადგან მშვენივრად იცის, რომ სეპარატიზმი ისეთი აქლემია, რომელმაც შეიძლება კრემლის კართანაც დაიჩოქოს.

# რუსეთი სოხუმში სპეციალიზებულ საბაჟო საგუშაგოს ქმნის

გულიკო ბალაძე

2017 წლის 1 ნოემბერს ძალაში შედის რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახურის უფროს ვლადიმერ ბულავინის №1446 ბრძანება აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი საოკუპაციო სტრუქტურის, სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგოს შექმნის შესახებ. რუსეთის ამ გადაწყვეტილებას „ახალ თაობასთან“ აფასებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია.

***– ბატონო ჯემალ, როგორ აფასებთ რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებას აფხაზეთში ახალი საბაჟო საგუშაგოს შექმნის შესახებ?***

– რუსეთის ფედერაციის აღნიშნული გადაწყვეტილება არის აფხაზეთის ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. დამტკიცებულია აღნიშნული საბაჟოს საშტატო განრიგი. ახალ საოკუპაციო უწყებაში ძირითადად რუსი მებაჟეები დასაქმდებიან. აფხაზ მებაჟეთა დათხოვნის მტკივნეული პროცესი კი უკვე დაწყებულია.

აფხაზეთის საბაჟო საგუშაგო ქალაქ სოხუმში კიროვის ქუჩაზე (ამჟამად არძინბას ქუჩა) №4 სახლში განთავსდება. საგუშაგოს თავისი კოდი აქვს მინიჭებული – 10000010.

***– რეალურად და ფაქტობრივად, რუსეთის აღნიშნული გადაწყვეტილება ხომ არ გამოიწვევს ე.წ. საბაჟო საგუშაგოების მთლიანად რუსეთის ამ სტრუქტურისთვის დაქვემდებარებას?***

– რასაკვირველია, ამაზეა საუბარი. ფაქტობრივად, აფხაზეთში საბაჟო სამსახური გადადის რუსეთის ხელში. ე.წ. დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი არსად ჩანს. ეს არის ანექსიისკენ გადადგმული ძალიან სერიოზული ნაბიჯი. აფხაზეთის ბიუჯეტი იგივე რუსეთის ბიუჯეტია. თუმცა, აფხაზეთსაც აქვს თავისი შემოსავალი, მაგრამ აღნიშნული საბაჟო მთლიანად რუსეთის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

***– ე.ი. რუსეთი აფხაზეთს თანხას გრანტის სახით კი არ აძლევს ამ საგუშაგოს დასაფინანსებლად, არამედ ამ სტრუქტურას პირდაპირ იქვემდებარებს და პირდაპირ თვითონ აფინანსებს.***

– დიახ. მთელი საფინანსო შემოსავლები გადადის რუსეთის ხელში.

***– აფხაზი მებაჟეების გათავისუფლების მტკივნეული პროცესი დაწყებულიაო. აფხაზების მხრიდან რა რეაქცია მოჰყვა აღნიშნულ გადაწყვეტილებას?***

– პირველ ეტაპზე ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდათ. ამას მოჰყვა აფხაზეთის საბაჟო სამსახურის უფროსის გადაყენება და ახალი პირის დანიშვნა, რამაც ცოტა შეაჩერა აფხაზი მებაჟეების გათავისუფლების პროცესი. თუმცა, ეს იყო დროებითი ღონისძიება, აფხაზები იქ არავის სჭირდება. რამდენიმე აფხაზს თუ დატოვებენ, ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია, აღნიშნული სამსახური რუსეთის ფედერაციის საბაჟოს დაქვემდებარებაში გადადის.

***– რუსეთი აფხაზეთში საბაჟოს იქვემდებარებს, კარასინმა კი განაცხადა, ერთობლივი საბაჟო კონტროლისთვის ქართული მხარე მზად არ აღმოჩნდაო.***

– კარასინი საუბრობდა ჟენევაში 2011 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე. ზემოთ აღნიშნული ბრძანებით, რუსეთი მთლიანად უგულებელყოფს 2012 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის, შვეიცარიის შუამავლობით 2011 წლის 9 ნოემბერს ჟენევაში საქართველოსა და რუსეთს შორის „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ გაფორმებულ ხელშეკრულებას.

აღნიშნული ხელშეკრულება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე ტვირთების მოძრაობის კონტროლს ითვალისწინებს. როდესაც რუსეთის დაქვემდებარებაში გადადის მთელი საბაჟო სამსახური, ეს ხელშეკრულებაც ირღვევა და ის ვალდებულებაც, რომელიც რუსეთმა აიღო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას. ეს ხელშეკრულება გახდა მიზეზი, რომ საქართველომ ხმა მისცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას.

მოგეხსენებათ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სრული კონსენსუსით მიიღება გადაწყვეტილებები. საქართველო ამ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების წინააღმდეგი იყო, რადგან რუსეთს დარღვეული ჰქონდა როგორც რუსეთ-საქართველოს, შესაბამისად, ეკონომიკური საზღვარიც. ამ ხელშეკრულებით მოხდა საქართველოს ეკონომიკური საზღვრის დაფიქსირებაც, რომელიც საერთაშორისოდ ცნობილ სახელმწიფო საზღვარს ემთხვეოდა, მაგრამ აღებულ ვალდებულებას რუსეთი დღემდე ასრულებს.



## ჯემალ გამახარია: „მოსკოვის ქმედება საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა შეაჩეროს“

***– საქართველო-რუსეთს შორის საზღვარზე არსებულ მთავარ საბაჟოს ფსოუზე, რომელსაც ჩვენც ვცნობთ, ფაქტობრივად, რუსეთი აკონტროლებს. ამჯერად საუბარია ჩვენს ადმინისტრაციულ საზღვარზე, ენგურზე არსებული საბაჟოს პირდაპირის წესით გაკონტროლებაზე?***

– დიახ. საბაჟო სამსახურს ენგურიდან ფსოუმდე იქვემდებარებს რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახური. უფრო მეტიც, ეს არა მარტო აფხაზეთის მთელ ტერიტორიას მოიცავს, არამედ – რუსულ საბაჟოსაც ადლერში. დოკუმენტში ახლადშექმნილი საბაჟო საგუშაგოს სამოქმედო რეგიონად აფხაზეთის მთელი ტერიტორია და რუსეთის საბაჟო საგუშაგო – მრავალმხრივი საავტომობილო გამშვები პუნქტი ადლერი – განისაზღვრა. ამ უკანასკნელის აფხაზეთისთვის მიბმა თუ, პირიქით, აფხაზეთის მიბმა ამ რუსული საბაჟო საგუშაგოსთვის აფხაზური „სახელმწიფოს“ მიმართ რუსეთის ნამდვილი დამოკიდებულების მკაფიო მაჩვენებელია.

ე.წ. აფხაზეთის სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგოს დებულება რუსეთის ფედერალურმა საბაჟო სამსახურმა ა.წ. 29 სექტემბრამდე დაამტკიცა, ამა წლის 1 ნოემბერს კი ზემოხსენებული ბრძანება ძალაში შედის. ამ დღიდან აფხაზეთში ოფიციალურად რუსული საბაჟო საგუშაგო ამოქმედდება. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი ფედერალური საბაჟო სამსახურის უფროსის მოადგილე სტრუკოვს აქვს დაკისრებული.

***– ენგურთან არსებულ საბაჟოზეც.***

– დიახ. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთი აფხაზებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ვგულისხმობთ 2014 წლის 24 ნოემბერს აფხაზეთისთვის თავსმოხვეულ ე.წ. ხელშეკრულებას „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, 2015 წლის 21 ნოემბრის „ხელშეკრულებას“ გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნის შესახებ, რუსეთის მიერ ამ უკანასკნელის რატიფიკაციას 2016 წლის ნოემბერში, 2017 წლის 18 მაისს სოჭში გაფორმებულ „შეთანხმებას“ შს ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ აფხაზეთის დეკლარირებული სუვერენიტეტი უკვე ქაღალდზეც აღარ დარჩა.

***– რუსები უკვე ღიად მოქმედებენ.***

– ასეა. ადრე მოსკოვი და სოხუმი საკუთარი თავის მოსატყუებლად „სახელმწიფოთაშორის“ ან „უწყებათაშორის“ ე.წ. ხელშეკრულებებს მაინც აფორმებდნენ. ახლა უკვე რუსეთის ერთ-ერთი ფედერალური უწყება საკუთარი ბრძანებით აფხაზეთის მთელ ტერიტორიას იქვემდებარებს. რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის ბრძანება აფხაზეთის სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგოს შექმნის თაობაზე წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ერთ-ერთ ყველაზე თავხედურ გამოვლინებას.

ამ ბრძანებით რუსეთის სახელმწიფო არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, აგრეთვე იმ საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც საბაჟო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას არეგულირებს.

***– რუსეთის გადაწყვეტილებაზე საქართველოს სახელმწიფოს რეაქციას როგორ აფასებთ?***

– საქართველოს სახელმწიფოს რეაქცია ჰქონდა, გააკეთა განცხადებები, მაგრამ რუსეთი საქართველოს რეაქციის იგნორირებას ახდენს. ამიტომ ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ვგმობთ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას, რომელიც აფხაზეთის ანექსიისკენ არის მიმართული. საქართველოს მთავრობამ ეს საკითხი მსჯელობის საგნად უნდა აქციოს მსოფლიო სავაჭრო და საბაჟო ორგანიზაციებში, აგრეთვე მეგობარი სახელმწიფოების ჩართულობით, ყველა შესაძლო პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტი უნდა აამოქმედოს, რომ წინ აღუდგეს მოსკოვის მორიგ მტრულ გამოხდომას საქართველოს წინააღმდეგ.

# მიშა კაჭკაჭიშვილი: „რას წარმოვიდგენდი, რომ მერაბიშვილის შემდეგ შს მინისტრის გადადგომისთვის ქუჩაში გამოსვლა კიდევ მომიწევდა“

## „ჯაბა ჯიშკარიანსა და ლევან გოგიჩაიშვილს სათქმელს პირში ვეტყვი“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 30 ოქტომბერს, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებენ. როგორც უფლებადამცველმა მიშა კაჭკაჭიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, არასამთავრობოები მინისტრის გადადგომამდე გაჩერებას არ აპირებენ.

რას ყვებიან ნუცუბიძის ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედიის თვითმხილველები, რატომ აღარ ახსოვთ ადამიანის უფლებები ხელისუფლებაში გადაბარგებულ უფლებადამცველებს, რა გეგმები აქვთ არასამთავრობოებს? – ამის შესახებ მიშა კაჭკაჭიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– მიშა, თანასწორობის ინსტიტუტთან ერთად ნაციონალების დროს არაერთი აქცია გაგიმართავთ და რამდენჯერმე იყავით ამის გამო დაკავებული. ელოდით, რომ ნაციონალების წასვლის შემდეგ ისევ დაგიჭერდათ პოლიცია?***

– ნამდვილად არ ველოდი, რომ ნაცების წასვლის შემდეგ საქართველოში ასეთი რამე მოხდებოდა.

უბედური შემთხვევისგან არცერთი ქვეყნის პოლიცია არ არის დაზღვეული.

რუსთაველზე როცა აქცია გავმართეთ, პროკურატურამ გააკეთა განცხადება, რომ 3 დღეში გაასაჯაროებდა სამხრე კამერით გადაღებულ კადრებს. აქციაზე მყოფები დამეთანხმებიან, რომ ვნატრობდით, ჩვენი წინასწარი პროგნოზი ყოფილიყო არასწორი და პატრულის მხრიდან არ ყოფილიყო არც გულგრილობა, არც უფლებამოსილების გადამეტება.

29 ოქტომბერს უფლებადამცველები ნუცუბიძის ქუჩაზე გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის დაკრძალვაზე ვიყავით. იქ მის მეზობლებსა და ტრაგედიის თვითმხილველებს ვესაუბრეთ. შსს სამხრე კამერების ჩანაწერის გავრცელებას არ აპირებს, რაც ძალიან ცუდია.

თვითმხილველები ამბობენ, რომ პაატა დიდი ხანი ითხოვდა შველას და თითქმის 15 წუთი გაიძახოდა, ცუდად ვარო. ეს პოლიციამ არაფრად ჩააგდო, პირიქით, ბორკილები დაადეს და ძირს დააგდეს. ამ დროს გარდაიცვალა პაატა.

ხელებაწეულ ადამიანს ესვრი, დაკავების დროს ესვრი თუ გულგრილობით მოკლავ, არანაირი განსხვავება არ არის.

***– პოლიცია ალბათ ვერ იფიქრებდა, რომ პაატა პავლიაშვილი მოკვდებოდა.***

– ადამიანი რომ გეუბნება, ცუდად ვარო, უნდა მიხედო. პოლიციას შინაგანაწესში პირდაპირ უწერია, რომ ცუდად მყოფ



**„ნუცუბიძის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გატარებას არ ვაპირებთ“**

**არასამთავრობოები და სამოქალაქო საზოგადოება შსს-თან აქციებს იწყებენ**

მოქალაქეს უნდა დაეხმაროს. მნიშვნელობა არა აქვს, დამნაშავეა თუ არა ის.

მას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავებიან. თვითმხილველების თქმით კი მსგავსი რამე არ ყოფილა. გადაცდომაც არის და გადაცდომაც. კიდევ ვიმეორებ. 15 წუთი იძახდა ეს ბიჭი, ცუდად ვარო. 15 წუთში ყველანაირი სასწრაფო მოასწრებდა მოსვლას.

განზრახ მკვლელობა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ არაადამიანურ მოპყრობასთან გვაქვს საქმე.

***– „ქართული ოცნება“ ყოფილ ხელისუფლებას ხშირად ახსენებს მათ დროს ჩადენილ დანაშაულებს, მათ შორის ქუჩაში ხალხის დახვრეტას. ეს ადამიანები ნუცუბიძეზე მომხდარს შეფასებითაც არ აფასებენ. გასაგებია, რომ განზრახ მკვლელობა რა ყოფილა, მაგრამ ადამიანი ცოცხალი აღარ არის.***

– „ოცნების“ დამოკიდებულებას ვერაფრით ვხსნი, ასევე არ მესმის იმ ჩემი მეგობრებისა და ყოფილი თანამებრძოლების, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან. გამოდის, ეს ადამიანები წინა ხელისუფლების დროს უკანონობას იმიტომ ებრძოდნენ, რომ სკამები დაეკავებინათ.

***– თქვენს მეგობრებში ჯაბა ჯიშკარიანსა და ლევან გოგიჩაიშვილს გულისხმობთ?***

– სამწუხაროდ, მათზე მიწევს ამის თქმა. ჩვენ ერთად ვიყავით თანასწორობის ინსტიტუტში.

***– მათ, სხვათა შორის, არც თქვენს დაკავებაზე ამოიღეს ხმა.***

– ეს მათ ნამუსზე იყოს. გარდა იმისა, რომ მეგობრები ვართ, ნათელმირონობაც მაკავშირებს მათთან. ამის გამო მათზე აქ საუბარი არ მინდა. ჩემს სათქმელს პირში ვეტყვი, ოდესმე ხომ შევხვდებით ერთმანეთს. უბრალოდ, გული მწყდება, ჩვენ ერთად ვიბრძოდით, ერთად გვაკავებდნენ ნაციონალები.

მათგან განსხვავებით, ჩვენ პაატა პავლიაშვილის ამბავს არ გავატარებთ. არასამთავრობოები და სამოქალაქო საზოგადოება საპროტესტო აქციებს ვიწყებთ. აქცია გაიმართება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

***– მოთხოვნა რა იქნება?***

– შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა. ჩვენ სისტემის წინააღმდეგ ვიწყებთ დაუმორჩილებლობას.

***– ფიქრობთ, რომ ეს აქცია შედეგს გამოიღებს და მინისტრი გადადგება?***

– არ გადადგება და არც ჩვენ გავჩერდებით. რას წარმოვიდგენდი, რომ ვანო მერაბიშვილის შემდეგ კიდევ მომიწევდა შს მინისტრის გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში გამოსვლა.

ნაციონალების წასვლის შემდეგ ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ პოლიციის ქმედებებს გავაპროტესტებდით. ხელისუფლების შეცვლიდან 5 წლის თავზე ისევ პოლიტიკური პოლიცია მივიღეთ. რამდენიმე დღის წინ რომ დამაკავეს, იგივე მუხლი წამიყენეს, რომელსაც სააკაშვილის დროს მიყენებდნენ.

***– მაშინ რამდენჯერ მოხდა თქვენი დაკავება?***

– აღარც კი მახსოვს, ძალიან ბევრჯერ. ჩემი ბოლო დაკავება იყო უკანონო. კადრებში ნათლად ჩანს, რომ მე ფორმიან პოლიციელს არ დავუკავებივარ, ვიღაც სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა ტიპმა დამაკავა. ჩემი დაკავების ბრძანებაც მან გასცა.

არის რაღაცები, რისი მოთმენაც შეიძლება, მაგრამ არის რაღაცები, რასაც ვერ გაატარებ. პაატა პავლიაშვილის ამბის გატარებას არავინ აპირებს. „ოცნებას“ კარგად უნდა ახსოვდეს, როგორ დაიწყო და როგორ დაამთავრა მისმა წინამორბედმა. ნაციონალებისგან დიდად აღარ განსხვავდებიან და შორს არ არის ის დღე, როცა ესენიც დაამთავრებენ.

# მამუკა ხერხეულიძე: „ოცნების“ პარტიულ პოლიციას სურს, რამენაირად გამაჩუმონ“

მწერალი მამუკა ხერხეულიძე ფეისბუქის პირად გვერდზე წერს, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მის საცხოვრებელ სახლთან ორი მანქანა მორიგეობს.

ხერხეულიძე ფაქტს მის ხელისუფლებისადმი კრიტიკას უკავშირებს და ამბობს, რომ მისი გაჩუმება შესაძლოა მისი შვილის დაკავებით სცადონ.

– მეგობრებო, „არჩევნების“ დამთავრების დღიდან დღემდე ჩემს სახლთან მუდმივად დგას მორიგე მანქანა, რომელზე დაკვირვების შედეგადაც ის პოლიციის აღმოჩნდა. დღევანდელი ხელისუფლების მიზანი, აქედან გამომდინარე, ცხადია – „ოცნების“ პარტიულ პოლიციას სურს რამენაირად გამაჩუმონ, მე მწერალი მამუკა ხერხეულიძე, როგორც ამ ხელისუფლების კრიტიკოსი და ოპოზიციონერი იმით, რომ ჩემს უფროს ვაჟს რაიმე დაუშავონ, კერძოდ, ნარკოტიკის, ან იარაღის, ანდა რაიმე აკრძალული ნივთის „ჩადების“ გზით ის ციხეში გაისტუმრონ და ამით დაგვაშანტაჟონ.



შსს-ს მინისტრისა და „ოცნების“ მთელი ლიდერშიპის საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ასეთი უკანონობის შემთხვევაში ბრძოლისა და პროტესტის უკიდურეს ხერხებს მივმართავთ არა მარტო მე, ასევე ყველა ის ადამიანი თუ მშობელი, ვინც მაგვარი უკანონობის სამიზნე ან მსხვერპლია და შევეცდებით, ძალიან დავაზიანოთ როგორც თქვენი „თავისუფლად სუნთქვის“ ლეგენდა, ასე თქვენი მთელი პოლიტიკური გუნდი, რომელსაც პიროვნებების დონეზე დაეკისრება პასუხისმგებლობა.

როგორც ჩანს, თქვენ არ იცით რას ნიშნავს ამ ქალაქის მკვიდრი საზოგადოების და წესიერი თბილისელების ნამდვილი მრისხანება. დასკვნები თქვენთვის მომინდია. მიიღეთ ეს უკანასკნელ გაფრთხილებად, – წერს მწერალი.

მის ამ პოსტს გამოეხმაურა ნაციონალური მოძრაობის წევრი ეკა ხერხეულიძეც. მან სოციალურ ქსელში ავტომობილების ფოტოები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ მასაც უთვალთვალებენ.

– ზუსტად იგივე ვითარებაა ჩემს სახლთან. დგანან ჩემი სადარბაზოს წინ და დღეღამის განმავლობაში მორიგეობს ორი ეკიპაჟი. მოტივი ნათელია, შემკვეთის გვარებიც ვიცით და მორიგე ოპერების ვინაობაც. მეტი არ მინდა, რამე შეგეშალოთ! თქვენს ხასიათზე კი ვარ...

დანარჩენი მამუკას სტატუსში წერია და აღარ განვმეორდები, – დაწერა ეკა ხერხეულიძემ.

# ივანიშვილი–პავლოვას სკანდალი გრძელდება

## მოუწევს თუ არა ექსპრემიერს პარიზში დაკითხვაზე ჩასვლა

„შაბათის კურიერისთვის“ ცნობილი ხდება, რომ სამი თვის ვადაში პარიზის სასამართლო უკვე დაიწყებს მოქალაქე ინგა პავლოვას სარჩელის განხილვას.

ინგა პავლოვა ამტკიცებს, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერის ივანიშვილის კანონიერი ცოლია და ექსპრემიერმა განქორწინება ყალბი დოკუმენტების საშუალებით გააფორმა იმისთვის, რომ პირველი ცოლისთვის წილი არ გადაეხადა.

ინგა პავლოვას ინტერესების დამცველი გრეგორი რინკული აცხადებს, რომ თაღლითობისა და დოკუმენტების შესაძლო გაყალბების საქმეზე გამოძიება თავდაპირველად ვერსალის პოლიციაში მიმდინარეობდა, თუმცა ახლა საქმის მასალები პარიზის პოლიციას გადაეგზავნა, რომელიც გამოძიებას თითქმის ასრულებს. ბიძინა ივანიშვილი ვერსალში აგარაკს ფლობს.



სასამართლოს ივანიშვილის საქმე, მაქსიმუმ, სამ თვეში გადაეცემა და თუ მოსამართლე დაადგენს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მართლაც გააყალბა დოკუმენტები, მაშინ მას ყოფილი ცოლისთვის დიდი კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

**ნიუპოსტი**

# ირაკლი კობახიძე: „ოპოზიციური პარტიები ხარჯებსა და შემოსავლებს მალავენ“



– რეალურად ხდება შემოსავლებისა და ხარჯების დამალვა ოპოზიციური პარტიების მიერ. ჩვენ ვახდენთ ჩვენი შემოსავლების დეკლარირებას. ოპოზიცია ამას არ აკეთებს. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო საარჩევნო პროცესებში, ბუნებრივია, სასაცილოდაც არ ეყოფა, რომ ოპოზიციამ მხოლოდ მილიონი დახარჯა თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, სადაც 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ისაუბრა. ირაკლი კობახიძის განცხადებით, რეალურად ოპოზიციური პარტიების მიერ შემოსავლების, ხარჯების დამალვა მოხდა.

– დაფინანსებასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გავაკეთე და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ აღვნიშნე, რომ ოპოზიციური პარტიების მიერ დეკლარირებული შემოსავლები და ხარჯები არ შეესაბამება მათ რეალურ შემოსავლებსა და ხარჯებს.

იგივე სურათი გვქონდა ჩვენ 2016 წლის არჩევნებში. რეალურად ხდება შემოსავლებისა და ხარჯების დამალვა ოპოზიციური პარტიების მიერ. ეს პრაქტიკა 2016 წელსაც იყო და იგივე პრაქტიკა არის სამწუხაროდ, 2017 წელსაც. მე შემიძლია გითხრათ, რომ 2016 წელს დეკლარირებული 10 მილიონი ლარი იყო დაახლოებით მთლიანად ოპოზიციის მიერ, მაშინ როდესაც მათი შემოსავლები და ხარჯები ჯამში დაახლოებით 100 მილიონ ლარს მაინც შეადგენდა. ათმაგ სხვაობაზეა საუბარი და 2017 წლის არჩევნებშიც ანალოგიური სხვაობა იყო. დეკლარირებული შემოსავალი და გასავალი ამ არჩევნებში იყო დაახლოებით 1 მილიონი ლარი, შესაძლოა, პლუს-მინუს ვცდებოდე. 1 მილიონ ლარზე ბევრად მეტი დაიხარჯა ოპოზიციური პარტიებისა და კანდიდატების მიერ ამ არჩევნებში, – განაცხადა კობახიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ჩვენ არავის ვებრძვით, არც დათოს და არც მის კადრებს“



– ჩვენ არავის ვებრძვით, არც დათო ნარმანიას და არც მის კადრებს, – აცხადებს კახა კალაძე. დედაქალაქის არჩეული მერის განცხადებით, მერიაშიც არსებობენ ძლიერი კადრები და ყველას მიეცემა შესაძლებლობა, რომ თავისი თავი წარმოაჩინოს. მისივე თქმით, კადრებზე, რეფორმებსა და სიახლეებზე მალე გახდება ცნობილი – „საინტერესო ცვლილებები იგეგმება“, – აცხადებს კალაძე.

– ჩვენ არავის ვებრძვით, არც დათოს და არც მის კადრებს ან რომელიმე კონკრეტული თანამდებობის პირს. ჩვენ ვართ აბსოლუტურად ღია, გამჭვირვალედ წარიმართება ეს პროცესები. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ირგვლივ მყავდეს პროფესიონალი, კომპეტენტური და პატიოსანი ადამიანები. მერიაშიც არსებობენ ძლიერი კადრები და ყველას მიეცემა შესაძლებლობა, რომ თავისი თავი წარმოაჩინოს, მათი ნიჭი და შესაძლებლობები მოვახმაროთ თბილისს, – განაცხადა კახა კალაძემ.

# „სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება გადაწყვეტილია“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უკრაინის გენერალური პროკურატურა მის ექსტრადირებას აპირებს. ამის შესახებ მან ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა.

ჩვენებურის ცნობით, გენერალური პროკურორის იური ლუცენკოს, ნებართვით დაიწყო საბუთების მომზადების პროცესი, რომელიც მის დაკავებასა და საქართველოში ექსტრადირებას ისახავს მიზნად.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი აცხადებს, რომ უკრაინის გენერალური პროკურორი სამი ოლიგარქის – პუტინის, ივანიშვილისა და პოროშენკოს დაკვეთას ასრულებს.

– ნამდვილად, სხვა ვინ იქნება ამით დაკავებული, თუ არა ლუცენკო. ის ყველაზე კარგად იცნობდა ჩემს საქმეებს პრეზიდენტობის პერიოდში. მადლობა, იური, ჩემი მოკრძალებული შრომის ასეთი მაღალი შეფასებისთვის, – აღნიშნავს სააკაშვილი.

სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირებას ელოდება ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი. ის ამბობს, რომ, მისი კიეველი მეგობრების თქმით, უკრაინაში ეს საკითხი აქტიურად განიხილება.

რას ფიქრობენ კიევში სააკაშვილის შესაძლო ექსტრადირებაზე, რა პროცესები მოჰყვება ამას საქართველოში, რისთვის უნდა მოემზადოს საქართველოს ხელისუფლება? – ამის შესახებ ტრისტან წითელაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ტრისტან წითელაშვილი:**

– სააკაშვილმა სოციალური ქსელით გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინის ხელისუფლება საქართველოში მის ექსტრადირებას აპირებს. ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ის სიმართლეს ამბობს.

გასულ კვირას უკრაინის საიმიგრაციო სამსახურმა მიხეილ სააკაშვილს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო უარი უთხრა. შაბათს, 28 ოქტომბერს, ვესაუბრე ჩემს უკრაინელ კოლეგებს, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტები აქვთ თავიანთ ხელისუფლებასთან. მათ მითხრეს, რომ სააკაშვილის ექსტრადირება გადაწყვეტილია და ახლა მიმდინარეობს დოკუმენტაციის შეგროვება, რომელიც მისი დაკავების საფუძველი გახდება.

ექსტრადირების გარდა, უკრაინის მთავარი პროკურატურა ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის დეპორტაციის საკითხსაც განიხილავს. მის გარდა, იმ პირების დეპორტაციის საკითხიც განიხილება, რომლებიც სააკაშვილმა აქედან წაიყვანა. რამდენიმე პირი უკვე გამოადეპორტეს კიევიდან.

***– ოფიციალური კიევი თუ ექსტრადირების გზას აირჩევს, ის საქართველოს უნდა გადმოსცეს. მზადაა ჩვენი ხელისუფლება ნაპრეზიდენტალის ციხეში ჩასასმელად? აქვს „ოცნებას“ ამის გამბედაობა?***



– სიმართლე გითხრათ, საქართველოს ხელისუფლებას მისი აქ ჩამოსვლა არ უნდა. კარგად იციან, რაც მოჰყვება მის ციხეში ჩასმას. ეს სცენარი საქართველოს ხელისუფლებისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

***– თქვენი აზრით, რა მოხდება სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში?***

– დიდი არეულობა. სააკაშვილს აქ კიდევ ბლომად ჰყავს მომხრეები. ისინი დაიწყებენ საპროტესტო აქციებს, რაც ხელისუფლებისთვის არასასურველია. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სააკაშვილის ექსტრადირება დროში მაქსიმალურად გაიწელოს.

***– ჩვენს ხელისუფლებას რომ ეშინია, ეს გასაგებია, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებაც შავ დღეშია. გაბედავს ოფიციალური კიევი მის დაკავებას?***

– აქამდე ვერც ისინი ბედავდნენ სააკაშვილის წინააღმდეგ რაღაც ზომების მიღებას. ახლა რადგან ეს პროცესი დაიწყეს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაკავება უკვე შესაძლებელია.

***– გინდათ თქვათ, რომ ვიღაცამ ოფიციალურ კიევს საქართველოს მესამე პრეზიდენტის დაკავებაზე თანხმობა მისცა?***

– დიახ, ასეა. აქამდე კიდევ არსებობდა ბერკეტები, რომლებიც სააკაშვილს იცავდა. ახლა ეს ბერკეტები აღარ არსებობს. ამ კაცს არანაირი სტატუსი აღარ იცავს და აღარც დასავლეთში ჰყავს მფარველები. მას აღარ ჰყავს ლობისტები. სხვანაირად რომ ყოფილიყო საქმე, უკრაინის მთავარი პროკურორი ლუცენკო არ იტყოდა, რომ სააკაშვილის დაკავების საფუძველი

## ტრისტან წითელაშვილი: „მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, მოემზადოს არეულობისთვის“

არსებობს.

***– მფარველები და ლობისტები თუ აღარ ჰყავს, საქართველოს ხელისუფლება რატომ უფრთხის მის ექსტრადირებას?***

– ოდესის ყოფილი გუბერნატორის ექსტრადირებას დიდი ამბები მოჰყვება. „ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, აიწყო ცხოვრება და ახლა სიმშვიდე უნდათ. სააკაშვილის მომხრეები მათ გასაქანს არ მისცემენ. აქ სიტუაცია აირევა და აქცია აქციაზე გაიმართება.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ ნაციონალებს არაფრის თავი აღარ აქვთ.***

– თავი როგორ არა აქვთ. სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში ბევრს გამოიყვანენ ქუჩაში. ყოფილ ხელისუფლებას ამისთვის რესურსები ჯერ კიდევ აქვს. ამიტომ არ უნდა „ოცნებას“ ყოფილი პრეზიდენტის ციხეში ჩასმა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ, სააკაშვილის გარდა, საქართველოში გამოადეპორტებენ რამდენიმე ათეულ ადამიანს. როგორც ჩემმა უკრაინელმა კოლეგებმა მაცნობეს, უკვე მზად არის 50-კაციანი სია.

***– ესენი ყველანი ქართველები არიან?***

– ყველა მათგანი აქედან არის წასული. ეს ხალხი თავიდან მაიდნის პროცესებში მონაწილეობდა. ამის შემდგომ ისინი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთვნენ. უკრაინელები სააკაშვილს, ფაქტობრივად, უახლოესი გარემოცვის გარეშე ტოვებენ. ჯერ ამათ გამოყრიან კიევიდან და მერე დაიჭერენ სააკაშვილს.

***– უკრაინელებიც ხომ არიან მის გარემოცვაში, მათ რაღას უზამენ?***

– უკრაინელები სააკაშვილს ბოლომდე გვერდით არ დაუდგებიან. წინა ინტერვიუში გითხარით, რომ მას იულია ტიმოშენკოსთან და ოპოზიციის სხვა ლიდერებთან დაეძაბა ურთიერთობა. ისინი ოდესის ყოფილი გუბერნატორის დასაცავად თავს დიდად აღარ შეიწუხებენ.

მინდა, იმ 50 კაცს დავუბრუნდე, რომელთა დეპორტაცია იგეგმება. მინდა, ხელისუფლებას მივმართო, რომ მათ დაბრუნებას მშვიდად ნუ შეხვდებიან. ეს არ არის ის პროცესი, რომელსაც ადამიანმა შეიძლება მშვიდი თვალით შეხედო.

ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის ხალხი, რომლის დეპორტაციაც იგეგმება, უკრაინაში მაიდანზე და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა.



***– ამით რის თქმა გინდათ, რომ ეს ხალხი აქ ახალ მაიდანს მოაწყობს?***

– რატომაც არა. ეს ხალხი ყველაფერზეა წამსვლელი, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლება მზად არ არის. ცალკე პრობლემაა თავად ხელისუფლების შემადგენლობა. აქამდეც არაერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ხელისუფლება ნაციონალებით არის სავსე. არავინ იცის, რას იზამენ ისინი, როცა აქ სააკაშვილი ჩამოვა.

***– თქვენი აზრით, რას უნდა ელოდოს მათგან ხელისუფლება?***

– ყველაფერს. ნაციონალები იმდენი არიან და ისეთი თანამდებობები უკავიათ, რომ ყველა მიმართულებით შეუძლიათ საბოტაჟის შექმნა.

***– ისევ უკრაინის ხელისუფლებას დავუბრუნდები. გენერალური პროკურორი სააკაშვილის ექსტრადირებას ითხოვს. რა პოზიციას დაიკავებს შს მინისტრი ავაკოვი? ყველა აღიარებს, რომ თავის დროზე მან მისცა საქართველოს მესამე პრეზიდენტს უკრაინის საზღვრის გადალახვის უფლება. როგორც უკრაინული მედია წერს, ამის გამო შს მინისტრს პრეზიდენტ პოროშენკოსთან ურთიერთობა დაეძაბა. არ დაიცავს სააკაშვილს ავაკოვი?***

– ავაკოვსა და პოროშენკოს შორის დაძაბულობა ისევ არის. მან სააკაშვილი სწორედ იმიტომ შეუშვა უკრაინაში, რომ პრეზიდენტისთვის თავისი საჭიროება დაენახვებინა. ავაკოვი ძალიან კარგად იცნობს სააკაშვილს და კარგად იცის, რომ მისგან კარგი არაფერია მოსალოდნელი. ვფიქრობ, ის ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის ექსტრადირებას ხელს არ შეუშლის. ამით მთელი უკრაინა დიდ ჭირს მოიშორებს, საქართველოს ხელისუფლება კი არეულობისთვის უნდა მოემზადოს.

# ირმა ინაშვილი: „გადადგეს კვირიკაშვილი!“

## პატრიოტთა ალიანსი პროტესტის ახალ ეტაპზე გადადის

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 29 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირი ისევ გადაიკეტა. პატრიოტთა ალიანსმა თავის მხარდამჭერებთან ერთად დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე საპროტესტო მსვლელობა გამართა. მსვლელობა მთავრობის ადმინისტრაციასთან დასრულდა, სადაც ოპოზიციამ ხელისუფლებას თავისი მოთხოვნები წაუყენა.




აქციების პირველი ტალღა პატრიოტთა ალიანსმა სექტემბერში დაიწყო. პარტიამ ხელისუფლებას მაშინაც წაუყენა მოთხოვნები. ალიანსის წევრები საკანონმდებლო ორგანოსთან საშიმშილოდაც დასხდნენ.

მაშინ ალიანსის ძირითადი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ აქცია სპეციალურად დაიწყო არჩევნების წინ. პატრიოტებს უნდოდათ, ხელისუფლებისთვის თავიანთი ძალა ეჩვენებინათ.

აქციების ბრალი იყო თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ალიანსი მეოთხე ადგილზე გავიდა და თბილისის საკრებულოში 2 კაცი გაიყვანა. ბორჯომში მათი მერობის კანდიდატი კი მეორე ტურში გავიდა.

არჩევნების საღამოს სოციალურ ქსელში გაავრცელეს ფოტოები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან. იქ აღარავინ იჯდა. არადა, ალიანსს შიმშილობის აქციის შეწყვეტის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია.

მოშიმშილეები პარლამენტის შენობის წინ მალე დაბრუნდნენ. პატრიოტთა ალიანსმა კი ახალი აქცია დააანონსა. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ ისინი 29 ოქტომბრიდან კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნით პროტესტის ახალ ტალღას იწყებენ.

მთავრობის მეთაურის გადადგომის მოთხოვნით გამართულ აქცია-მსვლელობაში რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა, აქციის რამდენიმე მონაწილე კი მჯდომარე აქციას დაიწყებს.

ირმა ინაშვილის განცხადებით, მჯდომარე აქცია გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს მთავრობა და პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი არ გადადგებიან.

– ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ვითარებაზე პასუხისმგებლობა სწორედ „ქართული ოცნების“ მთავრობას ეკისრება, – აცხადებს ირმა ინაშვილი.

მისივე განცხადებით, თუ „ქართული ოცნება“ მათ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, აქციები უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს.

– თუ სამთავრობო გუნდი არ წავა, თუ არ გააქტიურდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, რაშიც იგულისხმება პირდაპირი დიალოგი რუსეთთან, აქციები უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს, – ამბობს ინაშვილი.

მისი თქმით, აქციები, თბილისის გარდა, რეგიონებშიც გაიმართება. ცნობისათვის, პატრიოტთა ალიანსმა ბათუმში უკვე გამართა რამდენიმე აქცია.

მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართულ აქციაზე პატრიოტთა ალიანსის ლიდერებმა ხელისუფლება საზოგადოებისადმი უყურადღებობაში დაადანაშაულეს.

– პარლამენტის შენობის წინ თვეზე მეტია მიმდინარეობს მოშიმშილეთა აქცია, რომლებსაც კონკრეტული მოთხოვნები აქვთ, თუმცა ხელისუფლებამ აღნიშნული მოთხოვნები არ გაითვალისწინა და მათი პოზიციის მოსმენა არ მოისურვა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ინაშვილმა.

# მერაბ კაკულია: „ლარი კონკურენტულ დიაპაზონში ტრიალებს“



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ბანკის აღნიშნულ გადაწყვეტილებას „საქმის კურსთან“ ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი მერაბ კაკულია აფასებს.

***– ბატონო მერაბ, როგორ შეაფასებდით მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებას, იყო თუ არა იგი მოსალოდნელი?***

– წინა გადაწყვეტილების მსგავსად ამჯერადაც მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ეს ტრენდი წლის ბოლომდე არსებითად არ შეიცვლებოდა, ანუ ინფლაციის მაჩვენებელი მკვეთრად არ მოიკლებდა. ისინი ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მომავალ კვარტალში იმ ერთჯერადი ფაქტორების ზემოქმედების განეიტრალება მოხდება, რომელთაც სამომხმარებლო ფასების ინდექსზე იქონიეს გავლენა და ინფლაციის დონე უკვე მიზნობრივი მაჩვენებლის დიაპაზონს დაუბრუნდება.

მიუხედავად ეკონომიკური ზრდის ტემპების გარკვეული დაჩქარებისა, მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა არ არის და ინფლაციური მოლოდინები ამ ეტაპზე მკვეთრად, საგრძნობლად არ ვლინდება. ამიტომაც არ მიიჩნევს ეროვნული ბანკი საჭიროდ, რომ მონეტარული პოლიტიკა გაამკაცროს. აგვისტომდე სამი თვე ინფლაციის ტემპი თითქოს იკლებდა და შემდეგ ისევ მოხდა გარკვეული ზრდა. ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის, ასე ხდება ხოლმე. მთავარია, კიდევ უფრო მეტად არ გაიზარდოს და 7%-იან ნიშნულს არ მიაღწიოს, რომელიც მიმდინარე წელს მაქსიმუმის სახით დაფიქსირდა.

მე ვიმედოვნებ, რომ ეროვნული ბანკის პროგნოზი ასე თუ ისე გამართლდება და მომავალი წლის I კვარტალში მიზნობრივ მაჩვენებელს დავუბრუნდებით. თუმცა, ერთი გარემოება არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც ამ ეტაპზე 3%-ია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებელი 3% იქნება. იგი შეიძლება 3%-ზე ცოტა ნაკლები იყოს ან მეტი.

***– ლარიზაციის შედეგები რამდენად დამაკმაყოფილებელია?***

– ფინანსური დოლარიზაცია, ანუ დეპოზიტებისა და სესხების დოლარიზაციის მაღალი დონე მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად გატარების მთავარი ხელშემშლელი ბარიერია. ამდენად, არა მარტო სების, არამედ მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მიერ დედოლარიზაციის პოლიტიკურ მიზნად დასახვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ თუ ეს მოხდებოდა, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა იმ ინსტრუმენტების ფარგლებში, რომელიც დღეს გაგვაჩნია, გაიზრდებოდა.

გულწრფელად გეტყვით, რომ მე ნამდვილად არ მოველოდი იმ ღონისძიებების ასეთ შედეგებს, რომელიც დღეს გვაქვს. განსაკუთრებით დეპოზიტების სესხების დოლარიზაციის ნაწილში საკმაოდ მკვეთრი შემცირება გვაქვს და მთავარია, ეს ტენდენცია მდგრადი იყოს. რისკები, რაც ფინანსურ შუამავლებს აიძულებს, თავისი აქტიური და პასიური ოპერაციები უცხოური ვალუტით განახორციელონ, დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. ახლა მთავარია არსებული ტრენდი შენარჩუნდეს. რეზულტატი კარგია, მაგრამ, გამორიცხული არ არის, იგი ისევ ძველ მაჩვენებელს დაუბრუნდეს.

***– სების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეროვნული ვალუტის რყევებზე კომენტარს არ გააკეთებს. თქვენი პოზიცია როგორია აღნიშნულთან დაკავშირებით?***

– კობა გვენეტაძემ განაცხადა, რომ კომენტარს არ გააკეთებს კურსის მოკლევადიან რყევებთან დაკავშირებით, ანუ იგი გულისხმობდა იმას, რაც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ხდება და ეს შეიძლება სწორიც იყოს, რომ მოკლევადიან პერიოდზე არ გააკეთოს კომენტარი იმდენად, რამდენადაც ამ მომენტისთვის შესაძლოა საკმარისი არ იყოს ის ინფორმაცია, რომ სერიოზული მიზეზები მოიძებნოს რყევის, რომელიც დღეს სახეზეა.

რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდში კურსის დინამიკის შეფასებას, ეროვნული ბანკისთვის არავის ჩამოურთმევია პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მან მონაწილეობა მიიღოს სავალუტო პოლიტიკის შემუშავებაში და მასზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენაში, მიუხედავად იმისა, რომ სების მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობაა და არა გაცვლითი კურსის სტაბილურობა. მას უნდა თუ არა, მაინც უხდება გაცვლითი კურსის სერიოზული ანალიზი.

ლარი ზედმეტად შეფასებული არ არის და იგი მეტ-ნაკლებად კონკურენტულ დიაპაზონში ტრიალებს. ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს ფუნდამენტური ფაქტორების მხრიდან ზემოქმედების შეფასების საშუალება, რადგან ჩვენ საგადამხდელო ბალანსის III კვარტლის მონაცემები არ გვაქვს, რომელიც გვიან ქვეყნდება, თუმცა გვაქვს მიმდინარე მონაცემები საგარეო ვაჭრობის შესახებ, რომელიც მეტ-ნაკლებად პოზიტიურია, ასევე არცთუ ისე ცუდი დინამიკაა ფულადი გზავნილების კუთხით.

**ბიზნესმედია**

# პატარკაციშვილები თბილისის ცირკს ყიდიან. საწყისი ფასი 18 მილიონი დოლარია



თბილისის ცირკის შენობა იყიდება. ქონების საწყისი ფასი 18 მილიონი დოლარია.

როგორც კომპანია კოლიერს ჯორჯიას ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია ნათქვამი, უძრავი ქონების საერთო ფართი 21.014 კვადრატული მეტრია.

ნაგებობა 5 სართულს მოიცავს, რომლის საერთო ფართი კი 4.750 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ცენტრალურ შენობასთან ერთად, უძრავი ქონება შედგება 800 კვ. მეტრი ფართის ადმინისტრაციული ერთეულისგან. აღნიშნულ შენობა-ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

თბილისის ცირკი პატარკაციშვილების საკუთრებაშია.

# „ჩირკოლადი“ უფულობამ გაჭედა

## „ბიზნესის გაფართოებისთვის მინიმუმ 100 ათასი გვჭირდება“




„ჩირკოლადი“ ბიზნესის გაფართოებას თანხების არარსებობის გამო ვერ ახერხებს.“

„საქმის კურსთან“ კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი არწივიძე ამბობს, რომ თავად კომპანიას სახსრები არ გააჩნია, ბანკები კი კრედიტის გაცემაზე უარს ეუბნებიან.

მისი თქმით, სესხის ასაღებად უზრუნველყოფაა საჭირო, რაც მცირე ბიზნესს არ აქვს.

– 5 და 6 ათასი ლარი ამ საქმეში არაფერი არაა. 100 ათასი ლარი მაინც გჭირდება სულ ყველაზე ცოტა, სხვანაირად ვერ იმუშავებ, – აცხადებს კომპანიის დამფუძნებელი.

ჩირკოლადის საწარმო ბაღდათში ფუნქციონირებს. მისი მწარმოებელი საწარმო „ბიო მარგი“ 2011 წლიდან ბაღდათში ფუნქციონირებს და საჭირო ნაყოფს ადგილობრივი გლეხებისგან იღებს. კომპანია პროდუქციას ჩირით, ხილითა და ბოსტნეულით ამზადებს, იყენებს პამიდორს, შავ ქლიავს, ხურმას, გარგარსა და ფორთოხალს.

**ბიზნესმედია**

# ზარაფხანა იყიდება

თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე „ზარაფხანის“ შენობა იყიდება.

საუბარია 16.000 კვადრატულ მეტრამდე კეთილმოწყობილი ფართის მქონე 26.795 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთზე.

როგორც კომპანია კოლიერს ჯორჯიას ვებგვერდზეა აღნიშნული, სახელმწიფოსგან საკუთრების გამოსყიდვისთვის საჭირო თანხა 2.100.000 დოლარია (მათ შორის დაგროვილი გადასახადები და ჯარიმები); 1.700.000 დოლარი კი 2019 წლის მესამე კვარტლამდეა (გადახდები უნდა განხორციელდეს კვარტალურად) გადასახდელი.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მფლობელი სამრეწველო საქმიანობისთვის შესაფერისი ობიექტის შესყიდვით (2.000 კვ. მეტრამდე მიწის ფასი 1 მილიონი დოლარია) კმაყოფილი იქნება.

რეესტრის მონაცემებით, შპს „ზარაფხანის“ 100%-იან წილს შპს „ზარაფხანა დეველოპმენტი“ ფლობს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ფიორლეინ ლიმიტედია. ამასთან, როგორც რეესტრის 11 აგვისტოს ამონაწერშია აღნიშნული, მიმდინარეობს „ზარაფხანა დეველოპმენტის“ რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

რეაბილიტაციის მმართველი შპს „ბიზნეს ქეარ კორპორეიშენია“.

# „ოცნების“ დეპუტატი ჭიჭინაძე ეროვნული ბანკისგან განმარტებებს ითხოვს



ეროვნული ვალუტის რეკორდულ გაუფასურებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ეხმაურებიან. მმართველი გუნდი განმარტებებს ეროვნული ბანკისგან ითხოვს, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი დავით ჭიჭინაძე ეროვნულ ბანკს აკრიტიკებს. ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ეკონომიკური გეგმა სწორია და ეროვნული ვალუტის გაუფასურება არასწორ მუშაობას არ უკავშირდება.

– როდესაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დებენ სხვადასხვა დასკვნებს, სადაც არ არის აღწერილი, რომ ვთქვათ ჩვენი მთავრობა აკეთებს რაიმე არასწორ ნაბიჯებს, იზრდება ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი, შესაბამისად მოდის კრედიტები. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, მთავრობა თუ რამეს არასწორად აკეთებს, მაშინ კრედიტებიც არ მოვა, მაგრამ რადგან მოდის კრედიტები, ე.ი. მთავრობა მუშაობს სწორად. აბა როგორ შეიძლება ეროვნული ბანკის, ქვეყნის პირველი ბანკირი იძახდეს, რომ მე კომენტარს არ გავაკეთებ. ეს უკვე ისეთი კომენტარია, რომელიც მოსახლეობაში პანიკას იწვევს, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

# 525 კოოპერატივს სტატუსი შეუჩერდა. კოოპერატივების წილი სოფლის მეურნეობაში ძალიან დაბალია

მთავრობამ მომავალი წლის ბიუჯეტში კოოპერატივების ხელშეწყობისთვის 7 მილიონ 745 ათასი ლარი გაითვალისწინა, რაც მიმდინარე წელს თავდაპირველად დაგეგმილ თანხებზე თითქმის 3 მილიონი ლარით მეტია. რას მოუტანს სოფლის მეურნეობის დარგს კოოპერატივების წახალისება და აღნიშნული პროგრამა როგორ ვითარდება? – ამ თემაზე გადაცემა „საქმის კურსში“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძემ ისაუბრა.

***– რაში აპირებთ მომავალ წელს ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის დახარჯვას და დაგჭირდებათ თუ არა დამატებითი რესურსი, როგორც ეს წელს მოხდა?***

– მომავალი წლისთვის 7 მილიონ 745 ათასი ლარია დაგეგმილი და აღნიშნული თანხა თავისთავად იმ დაწყებულ პროგრამებს მოხმარდება, რომელთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო, თუნდაც მეფუტკრეობის პროგრამის მხარდაჭერის სახით. კონკრეტული თანხა მევენახეობის პროგრამას მოხმარდება, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყო და გაისადაც განხორციელდება. ასევე მოხმარდება რძის გადამამუშავებელი საწარმოების კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც 2016 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს ამ პროგრამის ფარგლებში 9 პროექტი დაფინანსდება და მომავალ წელსაც გაგრძელდება.

ამასთან ერთად, ევროკავშირის მხარდაჭერით ენპარდის პროგრამა მიმდინარეობდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში ხდებოდა როგორც სააგენტოს თანამშრომლების, ასევე კოოპერატივების თანამშრომლებისა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი შესაძლებლობების გაძლიერება და ტრენინგები. სამწუხაროდ, მიმდინარე წელს აღნიშნული პროექტი დასრულდა.

***– კოოპერატივებში ცოდნასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მწვავედ დგას?***

– სიმართლეს ვერ გავექცევით და მართლაც ძალიან მწვავედ დგას, ვინაიდან სოფლად მაცხოვრებელი ადამიანები, მით უმეტეს, სოფლის მეურნეობაში ჩართულნი, უკვე საკმაოდ დიდი ასაკის ადამიანები არიან. ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობაში აქტიურად არ არის ჩართული და ამიტომ განათლების დონე ცოტა დაბალია. ამისთვის არა მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების კონსოლიდირებაა საჭირო ტრენინგებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით, არამედ დონორთა მხარდაჭერა. დღემდე გვყავდა დონორი და ევროკავშირის მიერ ხდებოდა ყველა ამ მიმართულების დაფინანსება.

***– რადგან თანხებზე ვსაუბრობთ, აქვე დავაზუსტოთ – მიმდინარე წლის 9 თვეში შესრულების მაჩვენებლები 8.4 მილიონი გაქვთ დამატებული თანხების ჩათვლით დასახარჯი. ამ ეტაპზე 2 მილიონზე ცოტა მეტია დახარჯული და რამ განაპირობა ეს?***

– ეს გამოწვეულია იმით, რომ ძირითადი თანხა, რომლითაც ჩვენი ბიუჯეტი შეივსო, მაისში გამოყოფილი. ახალი პროგრამა რომ დაიწყო მაღალმთიან რეგიონებში, სათიბ-საძოვრების განაწილების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მარტო ერთი პროგრამა მოიცავს 6 მილიონ ლარს და სწორედ ეს დიდი წილი აუთვისებელი თანხებისა ამ პროგრამიდან არის გამომდინარე. ჩვენ გარკვეული ღონისძიებები განვახორციელეთ, მათ შორის, კოოპერატივების მობილიზება, მათთან საინფორმაციო კამპანია, რათა აღნიშნულ პროგრამებში ჩართულიყვნენ და ამასთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვებიდან გამომდინარე პროცედურები მიმდინარეობდა. ამ ეტაპზე გარკვეულ ტენდერებზე ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. საბოლოოდ აღნიშნული პროგრამა ათვისებული იქნება, მაგრამ ტენდერებიდან გამომდინარე, გარკვეული თანხები გვრჩება, რომლებიც შემდეგ თავისთავად ბიუჯეტს დაუბრუნდება, როგორც ეკონომია.



***– კოოპერატივების რაოდენობასთან დაკავშირებით როგორია ბოლო მონაცემები, დღემდე რამდენი კოოპერატივი აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი და რამდენმა შეწყვიტა არსებობა?***

– კოოპერატივს სასოფლო-სამეურნეო სტატუსი 2014 წლის 7 მარტს წელს მივანიჭეთ. დღეის მდგომარეობით 1.440 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს უკვე აქვს სტატუსი მინიჭებული, თუმცა 525 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სტატუსი შეუჩერდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მათ მიერ თუნდაც წესდებით ნაკისრი ვალდებულება არ იყო შესრულებული. მათ ვერ უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, აღრიცხვიანობა არ ხდებოდა და მათთვის მინიჭებული საქმიანობის წარმოების ფაქტებს ვერ ადასტურებდნენ.

***– მდგრადობის პრობლემასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?***

– ახალი წევრების დამატების და წევრთა რაოდენობის გაზრდის პრობლემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც დგას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ყველა სახელმწიფო პროგრამა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ფერმერებს, რომლებიც მეტი ადამიანის სახელით გაერთიანდებიან, უფრო მეტად შევეწყოთ ხელი, შეიძლება ითქვას, რომ ეს დღეს გადალახულია.

***– სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 9.9%-ია და კოოპერატივების კონტრიბუცია რა არის ამ მაჩვენებელში?***

– ძალიან ცოტა, მაგრამ ჩვენი პროგრამები სწორედ წელს განხორციელდება და ამ პერიოდში ჩავდებთ ინვესტიციებს, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ შედეგებს მოგვცემს.

# პაატა პავლიაშვილის დაკავების პროცესი პატრულის სამხრე კამერებზე დაფიქსირებული არ არის

## პროკურატურა განცხადებას ავრცელებს

პროკურატურის ინფორმაციით, შსს-დან ამოღებული ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ პატრულ-ინსპექტორის სამხრე კამერებზე დაფიქსირებული არ არის მომხდარი ინციდენტი და დაკავების პროცესი.

როგორც ნუცუბიძის ფერდობზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს პროკურატურა საქმეზე აქტიურად განაგრძობს გამოძიებას, რომლის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია საზოგადოებას ეცნობება.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, 25 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ საქართველოს პროკურატურა დამატებით განმარტავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოსამართლის განჩინების საფუძველზე ამოღებულია უშუალოდ ინციდენტის დროს, ადგილზე გამოძახებული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის სამხრე კამერებისა და საპატრულო ავტომანქანაზე დამონტაჟებული კამერის ჩანაწერები, ასევე დათვალიერებულია შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორია, სადაც აღმოჩნდა გარე პერიმეტრის მხოლოდ ერთადერთი ვიდეოკამერა, ამოღებულია შესაბამისი ვიდეოჩანაწერი, თუმცა იგი არ ფარავს პაატა პავლიაშვილის ადმინისტრაციულად დაკავების ადგილს.



შსს-დან ამოღებული ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ ერთ-ერთი პატრულ-ინსპექტორის სამხრე კამერას დაფიქსირებული არ აქვს მომხდარი ინციდენტი და დაკავების პროცესი, ჩანაწერში ასახულია მხოლოდ გარდაცვლილი პირის ადმინისტრაციულად დაკავების შემდგომი პერიოდი, რაზეც პროკურატურაში გამოკითხვისას



პატრულ-ინსპექტორმა განმარტა, რომ ის, სამხრე კამერით უწყვეტად იწერდა კონფლიქტის მონაწილე პირებთან, გ.კ.-სთან და ნ.შ.-სთან გასაუბრებას, რის შემდგომაც სამხრე კამერა გამორთო და ჩართო მხოლოდ პაატა პავლიაშვილის ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და მისი შეუძლოდ გახდომის შემდგომ.

მეორე პატრულ-ინსპექტორის განმარტებით, მისი სამსახურებრივი სამხრე კამერა შემთხვევის ადგილზე ყოფნის დროს განმუხტული იყო და ინახებოდა დამუხტვის მიზნით ავტომანქანაში, ხსენებულ კამერაზე არ არის ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

რაც შეეხება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ სათვალთვალო კამერას, კამერაზე არ აღმოჩნდა ინციდენტის პერიოდის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, ასევე იგი არ ფარავს იმ ტერიტორიას, სადაც განხორციელდა პაატა პავლიაშვილის დაკავება. ამოღებულ სამხრე კამერებზე, ავტომანქანის კამერაზე და შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიიდან ამოღებულ გარე პერიმეტრის კამერებსა და „დივიარებზე" ჩანაწერების ავთენტურობის დასადგენად დაინიშნა შესაბამისი კომპიუტერული ექსპერტიზა.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ამ ეტაპზე გამოკითხულია მომხდარი ფაქტის თვითმხილველი 20-მდე მოწმე. ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ყველა სხვა შესაძლო თვითმხილველის დადგენა, გამოკითხვის მიზნით. ასევე გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც ამ ეტაპზე დასრულებული არ არის.

საქართველოს პროკურატურა საქმეზე აქტიურად აგრძელებს გამოძიებას, რომლის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია ეცნობება საზოგადოებას", – ნათქვამია განცხადებაში.

# ვაჟა და ვანო ხაჩიაშვილები და თორნიკე ქალდანი სასამართლომ გაათავისუფლა

## რა მოხდა 300 არაგველის მეტროსთან

თბილისში, 300 არაგველის მეტროსთან, 27 ოქტომბერს საღამოს დაკავებული მამა-შვილი ვაჟა და ვანო ხაჩიაშვილები, ასევე მათი ახლობელი თორნიკე ქალდანი თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

მოსამართლემ სამივე პირს მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა.

სასამართლოს სხდომა 28 ოქტომბერს შედგა. მისი გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა დაკავებულების მშობლებისთვის, რომლებიც სამართალდამცავებს ძალის გადამეტებაში ადანაშაულებდნენ.



მათ პოლიციელთა მიმართ საჩივრის შეტანა გადაიფიქრეს.

მამა-შვილი ხაჩიაშვილები და თორნიკე ქალდანი სამართალდამცავებმა 27 ოქტომბერს დააკავეს. გამოძიება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დაიწყო, რაც წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცველზე დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

27 ოქტომბერს ვანო ხაჩიაშვილის დედამ, ნათია ხაჩიაშვილმა, სოციალურ ქსელში დაკავების ვიდეოკადრები განათავსა, სადაც ჩანს, თუ როგორ ცდილობენ პოლიციელები დაკავებულთა ავტომობილებამდე მიყვანას. მეტიც, ქალი პოლიციის მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც საუბრობდა.

ნათია ხაჩიაშვილი სასამართლო პროცესის დაწყებამდე ირწმუნებოდა, რომ შვილს დაკავებისას ერთ-ერთმა სამართალდამცავმა სახეში ხელი გაარტყა.

სამართალდამცავებს ძალის გადამეტებაში თორნიკე ქალდანის მამა, ზაურ ქალდანიც ადანაშაულებდა.

ზაურ ქალდანი სამართალდამცავების წინააღმდეგ პროკურატურაშიც აპირებდა ჩივილს, თუმცა, სასამართლოს განაჩენის შემდეგ მედიას განუცხადა, რომ საჩივრის შეტანას აღარ აპირებს.

**ნიუპოსტი**

# მაღაროელ დავით ფორჩხიძის დაღუპვას მისი შვილი შეესწრო

## „ამბობდა, რომ ჩავდივარ, შეიძლება, ისეთი რაღაც მოხდეს, ვერ მიპოვონო"



ტყიბულში, მინდელის მაღაროში გარდაცვლილი მაღაროელი, 50 წლის დავით ფორჩხიძე, ქუთაისის პროზექტურიდან საკუთარ სახლში გადაასვენეს.

კომპანიაში განმარტავენ, რომ მიმდინარეობდა გამაგრებითი სამუშაოები, როდესაც დავით ფორჩხიძე სამთო მასის ქვეშ მოჰყვა. მამაკაცი სიღრმიდან ამოყვანისას გარდაიცვალა. მომხდარს მისი შვილი პირადად შეესწრო, რომელიც ამავე მაღაროშია დასაქმებული.

წარმოების დირექტორი გია ქარქაშაძე ამბობს, რომ დაშავებული შემთხვევიდან 10 წუთში მისივე კოლეგებმა გამოიყვანეს, თუმცა ის გზაში გარდაიცვალა.

ოჯახის ინფორმაციით, მამაკაცი მაღაროში 9 წლის განმავლობაში მუშაობდა, ამიტომ მის პირად დაუდევრობას გამორიცხავენ.

დავით ფორჩხიძის ნათესავები მინდელის სახელობის მაღაროში უსაფრთხოების დარღვევაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი თქმით, მაღაროში ტექნიკა მოძველებულია.

გარდაცვლილის მეუღლე მაია ფორჩხიძე აცხადებს, რომ მისი მეუღლე წამყვანი თანამშრომელი იყო.

– მის მიმართ ყველა დადებითად იყო განწყობილი, არ ვიცი, რა მოხდა. დღეს ველოდებით ხელმძღვანელობას და, იმედია, გაგვარკვევენ საქმეში, – ამბობს გარდაცვლილის მეუღლე.

დავით ფორჩხიძის ნათესავ მარეხ ზარნიძის თქმით, ოჯახს სახელმწიფოს დახმარება სჭირდება.

– ბევრი ქალი დაქვრივდა და დაობლდნენ ბავშვები. როგორც ვიცი, დილით გავიდა სახლიდან, მივიდა სამსახურში. 18:00 საათზე მოხდა უბედური შემთხვევა. იქ მუშაობს მისი შვილიც თავად შეესწრო მამის გარდაცვალებას. ეს მაღარო ბავშვებისთვის ძალიან საშიშია, თხოვნა გვექნებოდა, რომ სამ ობოლს დაეხმარონ. თვითონ ამბობდა, რომ ჩავდივარ შეიძლება ისეთი რაღაც მოხდეს, რომ საერთოდ ვერ მიპოვონო. თხოვნა იქნება, მის ერთ-ერთ შვილს მაინც არ ჰქონდეს ისეთი სამსახური, რომ მაღაროში ჩადიოდეს და ჩვენ ველოდებოდეთ, როდის ამოვა, – აცხადებს გარდაცვლილის ახლო ნათესავი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 240-ე მუხლით მიმდინარეობს.

**ნიუპოსტი**

# ქუთაისში, რესტორან „ქალაქურთან", რუსულნომრიანმა მიკროავტობუსმა 13 წლის გოგონა გაიტანა

ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, რესტორან „ქალაქურთან", 13 წლის გოგონას რუსული სანომრე ნიშნებიანი მიკროავტობუსი დაეჯახა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ავარიის დროს ბავშვი გზაზე გადარბოდა.

გოგონა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# მამაკაცმა სიგარეტი მოითხოვა, ჯებირზე ავიდა და მტკვარში გადახტა

## ინციდენტი რესტორან „თავადურთან"



გუშინ, 29 ოქტომბერს, რესტორან „თავადურის" მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტი მოხდა.

თვითმხილველის განცხადებით, მას მიუახლოვდა მამაკაცი და სიგარეტი მოსთხოვა, მერე კი ჯებირზე დადგა მტკვარში გადახტა.

თვითმხილველმა დახმარება გამოიძახა. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ „112"-ში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, რესტორან ,,თავადურის" მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცი გადავარდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამაშველო ჯგუფი შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდა.

შსს-ს მაშველებმა ახალგაზრდა მამაკაცი მტკვრიდან უვნებლად ამოიყვანეს.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

შსს-ს ინფორმაციით, მამაკაცის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება.

# გონიოსთან ზღვაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გონიო-კვარიათის აკვატორიაში ზღვაში საზღვრის დაცვის კატარღამ მამაკაცის ცხედარი იპოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პიროვნების თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**იმედინიუსი**

## საპროტესტო აქცია ბაქოში

ბაქოში დემოკრატიული ძალების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია გაიმართა. მასში მონაწილეობა 3.000-მდე მოქალაქემ მიიღო.

აქციაზე სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერი ალი კარიმლი.



აქციაში მონაწილეებმა აზერბაიჯანის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არსებული კორუფციის ფაქტები გააპროტესტეს. ითქვა, რომ კორუფცია ხელს უშლის აზერბაიჯანის, როგორც სახელმწიფოს, შემდგომ წინსვლას.

## მორიგი ტერაქტი სომალიში

სომალის დედაქალაქ მოგადიშუში მორიგი ტერაქტი მოხდა. ქალაქის ცენტრში რამდენიმე აფეთქება განხორციელდა. ამის შემდეგ ტერორისტებმა დაიკავეს ოტელი, სადაც მთავრობის წევრების მონაწილეობით უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია უნდა გამართულიყო.



პოლიციელებსა და ტერორისტებს შორის შეტაკება კარგა ხანს გაგრძელდა. შედეგად დაღუპულია 37 ადამიანი. ბევრი დაიჭრა.

## პრეზიდენტი რუჰანი: „რაკეტებს ვაშენებდით, ვაშენებთ და მომავალშიც ავაშენებთ“

თეირანი განაგრძობს სარაკეტო პროგრამის განვითარებას, ვინაიდან ის არ არღვევს ირანის ბირთვულ პროგრამაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ განაცხადა.

– უნდა გახსოვდეთ, რომ რაკეტებს ვაშენებდით, ვაშენებთ და მომავალშიც განვაგრძობთ. აღნიშნული არ არღვევს რაიმე საერთაშორისო წესებს და არ ეწინააღმდეგება გაერო-ს უშიშროების საბჭოს №2231 რეზოლუციას, – აღნიშნა ირანის პრეზიდენტმა.

ჰასან რუჰანის თქმით, ირანი ნებისმიერ იარაღს შექმნის, რომელიც საჭიროა „ირანის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად“ და „თავდაცვის საჭიროებისას ირანი ასეთ იარაღს გამოიყენებს“.

მისივე განცხადებით, „ვაშინგტონი პატივს არ სცემს მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებს და არ იცავს საერთაშორისო ნორმებს, რის გამოც ნდობას არ იმსახურებს“.

## ანტალიაში ტურისტებით სავსე ავტობუსი გადატრიალდა

თურქეთში, ანტალიაში, ავტობუსი გადატრიალდა, რომელსაც ტურისტები გადაჰყავდა. ამის შესახებ თურქეთის ჟანდარმერიის წარმომადგენელმა განაცხადა.

ჟანდარმერიის ინფორმაციით, 18 იაპონელი ტურისტი მსუბუქად არის დაშავებული.

ანტალიიდან კონიაში მიმავალი ავტობუსი მას შემდეგ გადატრიალდა, რაც მძღოლმა მართვის კონტროლი დაკარგა.

## მატისი: „აშშ ფხენიანის ბირთვულ სტატუსს არასოდეს შეეგუება!“




აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ სტატუსს არასოდეს შეეგუება. მატისმა ხაზი გაუსვა, რომ ბირთვული სტატუსი ჩრდილოეთ კორეის უსაფრთხოებას კი არ უზრუნველყოფს, არამედ, პირიქით, მას დარტყმის ქვეშ აყენებს.

– ჩრდილოეთ კორეა აბსოლუტურ იზოლაციაშია! ამ ქვეყანაში სიღატაკე, უუფლებობა და ტერორია გამეფებული! – თქვა მატისმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ კორეის შესაძლებლობები აშშ-ისა და მისი მოკავშირეების შესაძლებლობებთან ახლოსაც ვერ მივა და თუ ფხენიანი ამერიკაზე, სამხრეთ კორეაზე ან იაპონიაზე შეტევას გაბედავს, შავი დღე დაადგება.

– პასუხი ეფექტური იქნება. ჩრდილოეთ კორეა განადგურდება! – განაცხადა მატისმა.

## მადრიდმა კატალონიაში 21 დეკემბერს არჩევნები დანიშნა



ესპანეთის ხელისუფლებამ კონსტიტუციის სათანადო მუხლი აამოქმედა და კატალონიის მთელი მთავრობა გადააყენა. პოსტებს გამოემშვიდობა როგორც პუჩდემონი, ასევე მთავრობის ყველა წევრი, მათ შორის კატალონიის პოლიციის უფროსიც.

კატალონიის მთავრობის ახალ მეთაურად ესპანეთის ვიცეპრემიერი სორაიო საენს დე სანტამარი დაინიშნა.

– ჩვენ უფლებას არ მივცემთ ერთ მუჭა სეპარატისტებს, მთელი რეგიონი მძევლებად აიყვანონ და საკუთარი ნება მოახვიონ თავს! – განაცხადა ესპანეთის პრემიერმა რაჰოიმ.

თავად ბარსელონაში კი როგორც დამოუკიდებლობის მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა აქციები არ წყდება. დათმობას არცერთი მხარე არ აპირებს. მიუხედავად ამისა, ექსპერტები თვლიან, რომ კატალონიას სამოქალაქო ომი და კონფრონტაცია არ ემუქრება.

დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა 40%-ზე ნაკლებია. შესაბამისად, ვადამდელი არჩევნების ან განმეორებითი რეფერენდუმის შემთხვევაში სეპარატისტების წარმატების ალბათობა მინიმალურია.

ესპანეთის პრემიერ რაჰოის განცხადებით, ვადამდელი არჩევნები კატალონიაში 21 დეკემბერს არის დანიშნული. თავად პუჩდემონი კი უარს აცხადებს, ესპანეთის მთავრობის დადგენილებას დაემორჩილოს.

– ჩემს მომხრეებს მოვუწოდებ, დემოკრატიული ოპოზიცია შექმნან! მადრიდის დიქტატს მშვიდობიანი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ! – აცხადებს პუჩდემონი.

## კურტ ვოლკერი: „აშშ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას აქტიურად განიხილავს“



– აშშ-ის ადმინისტრაცია უკრაინისთვის იარაღის მიწოდების შესაძლებლობას აქტიურად განიხილავს.

ამის შესახებ სააგენტო „როიტერს“ კიევში ვიზიტის ფარგლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა კურტ ვოლკერმა განუცხადა.

– არავის აქვს რაიმე შეშფოთების საფუძველი ვინმეს თავდაცვის გამო, თუ ამგვარი მხარე აგრესორი არ არის. ასე რომ, ეს საკითხი არ უნდა იყოს სადავო, – განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა.

მან ასევე კომენტარი გააკეთა 7 ოქტომბერს ბელგრადში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვთან გამართული მოლაპარაკებების თაობაზე და აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკებები კონსტრუქციული იყო.

– ჩვენ ვცდილობთ გავარკვიოთ, შევძლებთ თუ არა საერთო იდეების შემუშავებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლიათ სამშვიდობო ძალებს, ხელი შეუწყონ დონბასში კონფლიქტის დარეგულირებას, – აღნიშნა კურტ ვოლკერმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენლის აზრით, სამშვიდობო ძალები უფრო ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ უფრო მძლავრი მანდატი ექნებათ, ვიდრე ამას მოსკოვი სთავაზობს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ქუთაისი და ბათუმი თბილისში იგებენ

**სოხუმი-დინამო 81:89**
**(25:24, 17:28, 24:21, 15:17)**

ირაკლი ხოშტარიას გუნდი ბოლო წლების დომინანტია და ამ სეზონში ფიბა ევროპის თასზე ასპარეზობს. სოხუმელებთან მატჩი დინამოსთვის კარგი სპარინგი გამოდგა, რომელშიც მეტოქე საკმაოდ გაუძალიანდა და გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო.

სოხუმმა იბრძოლა და ფავორიტად მიჩნეულ მეტოქეს არაფერი დაუთმო. დინამომ, თავის მხრივ, სეზონის ერთ-ერთი სუსტი მატჩი ითამაშა, რაც უპირველესად, სოხუმელთა აგრესიული გარჯის გამო მოხდა.

სოხუმელები დებიუტში რომ დაწინაურდნენ, უპირატესობას პირველი პერიოდის ბოლომდე ინარჩუნებდნენ. ათწუთეულიც 25:24 მოიგეს და მეორე პერიოდში დინამოს მაქსიმალური მობილიზება დასჭირდა, თამაში სათავისო კალაპოტში რომ ჩაეყენებინათ.

მეორე 10-წუთეულში დინამოელებმა მეტოქეს აჯობეს და დიდი შესვენებისთვის 10 ქულით გალიდერდნენ – 32:22.

სოხუმმა მესამე მეოთხედში თამაში გამოასწორა და დინამოს უძალიანდებოდა. გუნდური თამაშის წყალობით სოხუმელებმა ჩამორჩენა ჯერ შეამცირეს, თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს კიდეც – 81:81. თუმცა, ეს აღმოჩნდა სოხუმის მაქსიმუმი. დინამომ ბოლო წუთები მაღალი დონის თამაშით ჩაამთავრა და მონაკვეთის 8:0 მოგებით შეხვედრაც სათავისო ანგარიშით დაასრულა – 89:81.

დინამოელთა ხუთივე სასტარტომ გადალახა ათქულიანი ზღვარი, რომელთაგანაც ყველაზე მეტი – 19 ქულა ამერიკელმა ლაველ ბოიდმა მიითვალა. 17 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი დააგროვა მიხეილ ბერიშვილმა, ლევან ფაცაციას ანგარიშზე კი 13 ქულა იყო. სოხუმში 19 ქულით ბომბარდირი მაქსიმ ლუცენკო გახლდათ, ხოლო ანატოლი ჩელოვანმა მატჩი 16 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა.



**კაკტუსი-ქუთაისი 70:82**
**(14:24, 21:20, 13:23, 22:13)**

ქუთაისმა ინიციატივა თავიდანვე მოიპოვა, რაც დაბალანსებული თამაშის წყალობით მოახერხა. პირველი პერიოდის შემდეგ იმერული გუნდი 10 ქულით იგებდა და ეს უპირატესობა მეორე ათწუთეულშიც იოლად შეინარჩუნა.

კაკტუსი შანსს ინარჩუნებდა, თუმცა მესამე მეოთხედში 20 ქულით ჩამორჩა და დარჩენილ დროში დეფიციტი ველარ აღმოფხვრა. დასკვნითი პერიოდის წინ სტუმრები 19 ქულით ლიდერობდნენ და მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ. ქუთაისმა საბოლოოდ 82:70 იმარჯვა და მოგებ-წაგებათა დადებითი ბალანსი გაიფორმა.

გამარჯვებულთაგან 19 ქულითა და 8 მოხსნით ბექა ბექაური გამოირჩა. 16 ქულა მიითვალა ჯონათან ლიმ, ხოლო აკაკი ლომოურმა ქუთაისელებს 15 ქულა მიაშველა. კაკტუსში 24 ქულით საუკეთესო იყო დეანდრე პარკსი. 15 ქულა მიითვალა ფრენკ როჯერსმა, ხოლო კრისტიან ჯონსონის ანგარიშზე 10 ქულა დაგროვდა.

**მგზავრები-ბათუმი 62:75**
**(13:15, 16:22, 17:16, 16:22)**

თამაში თანაბრად დაიწყო და ორივე გუნდი მეტ ყურადღებას დაცვას უთმობდა. პირველი პერიოდის მიწურულს კი სტუმრებმა მცირედით იძალეს და ათწუთეული 15:13 მოიგეს. ზღვისპირელებმა მეორე მეოთხედში მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს და კარგ დაცვას შედეგიანი შეტევაც შეაშველეს, რაც ანგარიშში აისახა – 37:29 პირველი ტაიმის შემდეგ.

დიდი შესვენების შემდეგ ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა, თუმცა პერიოდის დასაწყისში მგზავრებმა გაქცევა მოაწყვეს და ჩამორჩენა მინიმუმამდე – 36:37 შეამცირეს. თბილისურ კლუბს შანსი მიეცა, თუმცა ბათუმელებმა დაცვა გაამაგრეს და ხელჩასაჭიდი ლიდერობა მესამე მეოთხედის ბოლომდე დაიბრუნეს – 53:46.

ბოლო ათწუთეულში ბათუმელებმა წარმატებით შეინარჩუნეს რიტმი და შეხვედრაც სასურველი შედეგით დაასრულეს.

გამარჯვებულებს 18 ქულითა და 12 მოხსნით სერბმა ცენტრმა, სტეფან ანდრესევიჩმა ულიდერა. 14 ქულა მიითვალა უკრაინელმა ლეონიდ სტეპანიშინმა, ხოლო სპენსერ კოლინსის ანგარიშზე 16 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. მგზავრებში 18 ქულით საუკეთესო იყო სანდრო სანაძე, დერონ პაუერსმა 17 ქულა მიითვალა, ხოლო ბერნარდ ნკალის ანგარიშზე 8 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა.

# დინამოს საქმე გორში დავით კირკიტაძემ გაუკეთა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**დილა-ტორპედო 1:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
1:0 კირკიტაძე (56)

**დილა:** ბეგაშვილი, მაჩაიძე, პაპავა, ნონიკაშვილი (ჰეიფორდი 85), ფანცულაია (გოგატიშვილი 79), აბუბაკარი, კირკიტაძე, კვახაძე, მორასი, ძარია, პედრინიო (ფოფხაძე 78)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, ბაბუნაშვილი (კვირკვია 66), კაპანაძე, კუხიანიძე, ფალავანდიშვილი (ბერიაშვილი 70), გურული, კორობკა (გიგაური 58), დოლიძე, ქიმაძე

ტორპედომ ბოლო მოპოვებული საჩემპიონო შანსი გორში გაანიავა. თენგიზ ბურჯანაძეზე ადგილობრივმა დილამ 1:0 დაამარცხა რიონისპირელები, თავად საქმე გამოიკეთა, ხოლო მეტოქეს შანსები შეუმცირა.

პირველი შანსი ტორპედოს მიეცა: გრიგოლ დოლიძის ძლიერი გასროლა გიორგი ბეგაშვილმა ხელში დააფიქსირა.

მალევე დოლიძე ასისტენტად მოგვევლინა, მაგრამ გიორგი კუხიანიძის დარტყმის შემდეგ ბეგაშვილმა ისევ ბრწყინვალედ ითამაშა.

ტაიმის ბოლომდე ბეგაშვილმა ვაჟა ტაბატაძის დარტყმულიც მოიგერია, თავის მხრივ როინ კვასხვაძემაც აუღო გიორგი ფანცულაიას.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე პედრინიოს ჩაწოდების შემდეგ დავით კირკიტაძემ თავური დარტყმით გაუტანა კვასხვაძეს – 1:0.

ამის შემდეგ დასამახსოვრებელი მხოლოდ გიგაურის გასროლა იყო, რომელიც კარს ასცდა. დარჩენილ დროში დილა თავს იცავდა, ტორპედო კი ისეთ ვერაფერს ქმნიდა, რომ ეს თავდაცვა შეეწუხებინა.



დილა-ტორპედო 1:0

**სამტრედია-საბურთალო 0:2**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
0:1, 0:2 ხარაიშვილი (28, 65)

**სამტრედია:** სტურუა, კასრაძე (სამუშია 81), მანჯგალაძე, რაჟამაშვილი, საბანაძე, ნდონგი, გოგიაშვილი, ახალაძე, დათუნაიშვილი, გიი, ოლაიტანი

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი (ჩაბრაძე 86), მარგველაშვილი, თედ.გრიგალაშვილი, მამუჩაშვილი, შინდაგორიძე, ხარაიშვილი, ცნობილაძე, ტერა (ნადარაია 90), კოხრეიძე, მუეცი (ვოლკოვი 67)

საბურთალომ ეროვნულ ლიგაში მორიგი 3 ქულა მოიპოვა – სამტრედიაში 2:0 იმარჯვა და გათამაშების ცხრილში კვლავინდებურად მე-4 პოზიციაზე დარჩა.

უნდა ითქვას, რომ აქამდე საბურთალოს ეროსი მანჯგალაძეზე ქულაც კი არ ჰქონდა აღებული, ამჯერად თბილისურმა კლუბმა ისტორია დაწერა და ხსენებულ არენაზე პირველად 3 ქულის მოპოვება შეძლო.


სამტრედია-საბურთალო 0:2

მატჩი ორმხრივ იერიშებში წარიმართა, გატანა კი ქალაქელებმა მოახერხეს – პირველი გოლი 28-ე წუთზე გავიდა, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან ნოდარ იაშვილმა პასი გიორგი კოხრეიძეს გაუკეთა, რომელიც ბურთს ვერ მისწვდა, მაგრამ სამაგიეროდ ცენტრალურ მცველებს გაბონელ ანრი ნდონგსა და ჯემალ გოგიაშვილს ხარაიშვილმა დაასწრო, რომელმაც საჯარიმოში შესულმა ერთი შეხებით ანგარიში გახსნა – 0:1.

მალევე სტუმრებს ორამდე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ლაშა შინდაგორიძის ახლო მანძილიდან დარტყმული მეკარემ ფეხით მოიგერია.

თავის მხრივ, მასპინძლებმაც შექმნეს ხიფათი სტუმრების კართან: ჯერ ლაზარე კუპატაძემ არ გაატანინა ნიკა საბანაძეს, მეორე ეპიზოდში კი ინტერს გიის ახლო მანძილიდან დარტყმული, მცირედით ასცდა საბურთალოს კარს.

65-ე წუთზე მარჯვნიდან მუეცის ჩაწოდების შემდეგ კოხრეიძემ საჯარიმოში ბურთი ვერ დაამუშავა, თუმცა მის გვერდით მდგომმა ხარაიშვილმა მანჯგალაძეს აჯობა და სტურუას მარჯვენა მაღალ კუთხეში გაუტანა – 0:2.

ხარაიშვილს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მის დარტყმული, მცირედით ასცდა კარს. საბოლოოდ თბილისელებმა მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს და დამსახურებული სამი ქულა მოიპოვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 32 | 21 | 5 | 6 | 74-28 | 68 |
| 2.ტორპედო | 32 | 19 | 7 | 6 | 51-26 | 64 |
| 3.სამტრედია | 32 | 18 | 7 | 7 | 50-33 | 61 |
| 4.საბურთალო | 32 | 16 | 5 | 11 | 56-38 | 53 |
| 5.ლოკომოტივი | 31 | 15 | 4 | 12 | 57-43 | 49 |
| 6.ჩიხურა | 32 | 14 | 4 | 14 | 39-50 | 46 |
| 7.დილა | 32 | 10 | 7 | 15 | 37-46 | 37 |
| 8.დინამო (ბთ) | 31 | 10 | 2 | 19 | 26-50 | 32 |
| 9.კოლხეთი | 31 | 4 | 8 | 19 | 28-62 | 20 |
| 10.შუქურა | 31 | 3 | 7 | 21 | 31-73 | 16 |

# შედეგები

## 28 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ტოტენჰემი ................ 1:0
არსენალი-სუონსი ........................ 2:1
კრ.პალასი-ვესტ ჰემი .................... 2:2
ლივერპული-ჰადერსფილდი .......... 3:0
უოტფორდი-სტოკი ........................ 0:1
ვესტ ბრომვიჩი-სიტი ..................... 2:3
ბორნმუთი-ჩელსი ......................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 9 | 1 | 0 | 35-6 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-4 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-7 | 20 |
| 4.ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 18-10 | 19 |
| 5.არსენალი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-13 | 19 |
| 6.ლივერპული | 10 | 4 | 4 | 2 | 17-16 | 16 |
| 7.უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-18 | 15 |
| 8.ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-8 | 14 |
| 9.ბარნლი | 9 | 3 | 4 | 2 | 8-9 | 13 |
| 10.საუთჰემპტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-9 | 12 |
| 11.ჰადერსფილდი | 10 | 3 | 3 | 4 | 7-13 | 12 |
| 12.ბრაიტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| 13.სტოკი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-20 | 11 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-13 | 10 |
| 15.ლესტერი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-14 | 9 |
| 16.ვესტ ჰემი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-19 | 9 |
| 17.სუონსი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-12 | 8 |
| 18.ევერტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-18 | 8 |
| 19.ბორნმუთი | 10 | 2 | 1 | 7 | 6-14 | 7 |
| 20.კრ.პალასი | 10 | 1 | 1 | 8 | 4-21 | 4 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ვალენსია ........................ 1:2
ატლეტიკო-ვილიარეალი .............. 1:1
ბილბაო-ბარსელონა ..................... 0:2
სევილია-ლეგანესი ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 10 | 9 | 1 | 0 | 28-3 | 28 |
| 2.ვალენსია | 10 | 7 | 3 | 0 | 27-11 | 24 |
| 3.რეალი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-7 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 10 | 5 | 5 | 0 | 15-6 | 20 |
| 5.სევილია | 10 | 6 | 1 | 3 | 11-9 | 19 |
| 6.ვილიარეალი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-11 | 17 |
| 7.ლეგანესი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-5 | 17 |
| 8.ბეტისი | 9 | 5 | 1 | 3 | 19-17 | 16 |
| 9.სოსიედადი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-18 | 14 |
| 10.სელტა | 9 | 3 | 2 | 4 | 18-14 | 11 |
| 11.ბილბაო | 10 | 3 | 2 | 5 | 10-12 | 11 |
| 12.ლევანტე | 9 | 2 | 5 | 2 | 9-11 | 11 |
| 13.ესპანიოლი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-12 | 10 |
| 14.ხეტაფე | 9 | 2 | 3 | 4 | 11-10 | 9 |
| 15.ხირონა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 16.დეპორტივო | 9 | 2 | 2 | 5 | 10-18 | 8 |
| 17.ეიბარი | 9 | 2 | 1 | 6 | 3-20 | 7 |
| 18.ლას პალმასი | 9 | 2 | 0 | 7 | 7-22 | 6 |
| 19.ალავესი | 10 | 1 | 0 | 9 | 4-16 | 3 |
| 20.მალაგა | 9 | 0 | 1 | 8 | 4-20 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-გლადბახი .................. 1:3
ჰერტა-ჰამბურგი ........................... 2:1
შალკე-ვოლფსბურგი ..................... 1:1
ლევერკუზენი-კიოლნი .................. 2:1
ჰანოვერი-დორტმუნდი .................. 4:2
ბაიერნი-ლაიპციგი ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-7 | 23 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 6 | 2 | 2 | 27-11 | 20 |
| 3.ლაიპციგი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-12 | 19 |
| 4.ჰანოვერი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-9 | 18 |
| 5.შალკე | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 6.გლადბახი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-18 | 17 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 10 | 4 | 4 | 2 | 17-14 | 16 |
| 8.ლევერკუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 22-15 | 15 |
| 9.აინტრახტი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-10 | 15 |
| 10.ჰერტა | 10 | 3 | 4 | 3 | 11-12 | 13 |
| 11.აუგსბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-10 | 12 |
| 12.მაინცი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 13.ვოლფსბურგი | 10 | 1 | 7 | 2 | 10-13 | 10 |
| 14.შტუტგარტი | 9 | 3 | 1 | 5 | 6-11 | 10 |
| 15.ფრაიბურგი | 9 | 1 | 5 | 3 | 6-17 | 8 |
| 16.ჰამბურგი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-17 | 7 |
| 17.ვერდერი | 9 | 0 | 5 | 4 | 3-9 | 5 |
| 18.კიოლნი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-19 | 2 |

**იტალია. სერია ა**

მილანი-იუვენტუსი ........................ 0:2
რომა-ბოლონია ............................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 10 | 9 | 1 | 0 | 29-7 | 28 |
| 2.იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 33-10 | 28 |
| 3.ინტერი | 10 | 8 | 2 | 0 | 20-7 | 26 |
| 4.ლაციო | 10 | 8 | 1 | 1 | 26-11 | 25 |
| 5.რომა | 10 | 8 | 0 | 2 | 17-5 | 24 |
| 6.სამპდორია | 9 | 5 | 2 | 2 | 18-12 | 17 |
| 7.ფიორენტინა | 10 | 5 | 1 | 4 | 18-11 | 16 |
| 8.მილანი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-16 | 16 |
| 9.ატალანტა | 10 | 4 | 3 | 3 | 17-13 | 15 |
| 10.კიევო | 10 | 4 | 3 | 3 | 13-15 | 15 |
| 11.ბოლონია | 11 | 4 | 2 | 5 | 9-12 | 14 |
| 12.ტორინო | 10 | 3 | 4 | 3 | 14-17 | 13 |
| 13.უდინეზე | 10 | 3 | 0 | 7 | 16-21 | 9 |
| 14.კალიარი | 10 | 3 | 0 | 7 | 8-18 | 9 |
| 15.სასუოლო | 10 | 2 | 2 | 6 | 5-16 | 8 |
| 16.ჯენოა | 10 | 1 | 3 | 6 | 10-16 | 6 |
| 17.კროტონე | 10 | 1 | 3 | 6 | 6-20 | 6 |
| 18.ვერონა | 10 | 1 | 3 | 6 | 6-22 | 6 |
| 19.სპალი | 10 | 1 | 2 | 7 | 8-19 | 5 |
| 20.ბენევენტო | 10 | 0 | 0 | 10 | 3-24 | 0 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-მონაკო ............................. 0:2
კაენი-ტრუა ................................... 1:0
დიჟონი-ნანტი ............................... 1:0
გენგამი-ამიენი ............................. 1:1
მონპელიე-რენი ............................ 0:1
სტრასბური-ანჟე ........................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 9 | 2 | 0 | 34-8 | 29 |
| 2.მონაკო | 11 | 8 | 1 | 2 | 28-12 | 25 |
| 3.ნანტი | 11 | 6 | 2 | 3 | 9-8 | 20 |
| 4.ლიონი | 10 | 5 | 4 | 1 | 25-15 | 19 |
| 5.მარსელი | 10 | 5 | 3 | 2 | 20-17 | 18 |
| 6.კაენი | 11 | 6 | 0 | 5 | 8-8 | 18 |
| 7.სტ.ეტიენი | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 8.ბორდო | 11 | 4 | 4 | 3 | 16-17 | 16 |
| 9.მონპელიე | 11 | 4 | 3 | 4 | 8-7 | 15 |
| 10.გენგამი | 11 | 4 | 2 | 5 | 13-15 | 14 |
| 11.ტულუზა | 10 | 4 | 2 | 4 | 11-15 | 14 |
| 12.ანჟე | 11 | 2 | 7 | 2 | 16-14 | 13 |
| 13.რენი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-15 | 12 |
| 14.დიჟონი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-20 | 12 |
| 15.ტრუა | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 16.ამიენი | 10 | 3 | 1 | 6 | 6-12 | 10 |
| 17.ნიცა | 11 | 3 | 1 | 7 | 13-19 | 10 |
| 18.სტრასბური | 11 | 2 | 4 | 5 | 13-20 | 10 |
| 19.ლილი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-14 | 6 |
| 20.მეცი | 10 | 1 | 0 | 9 | 5-19 | 3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქურთების წინააღმდეგ მთავარ მებრძოლად თურქეთი გამოდის?

## ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები სხვა რეგიონებზე აისახება

მარიამ მჭედლიშვილი

ერაყის ქურთული ავტონომიის ლიდერ მასუდ ბარზანის გადადგომის გადაწყვეტილებამ კარგა ხნით გადასწია ქურთული სახელმწიფოს შექმნის საკითხი. ბარზანიმ შესთავაზა რეგიონულ პარლამენტს პრეზიდენტის უფლებამოსილებების გადანაწილება ავტონომიის პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლო ორგანოებს შორის. იგი თანამდებობას 1 ნოემბერს დატოვებს.



25 სექტემბერს გამართულმა რეფერენდუმმა დამოუკიდებლობის შესახებ ერაყის ქურთთა ავტონომიაში უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა ბაღდადთან, რომელმაც არ აღიარა რეფერენდუმის შედეგი. რეგიონში კრიზისის გამო რეფერენდუმიდან ერთი თვის შემდეგ ბარზანი იძულებული გახდა, ის გაყინულად გამოეცხადებინა.

ამის შემდეგ ავტონომიასა და ბაღდადს შორის დაიდო შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ. ერაყში, ისევე, როგორც სირიაში, ძირითადად ისლამურ სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს ებრძვიან. შეთანხმების შემდეგ ერთმანეთთან შეიარაღებული დაპირისპირება შეწყვიტეს ქურთთა რაზმებმა და ერაყის არმიამ.

ექსპერტების აზრით, ახლო აღმოსავლეთში სირიელი ქურთების წინააღმდეგ მოსალოდნელია თურქეთის მოქმედებები. მათი გათვლით, ანკარა იდლიბში ოპერაციის შემდეგ, რომელსაც ის მოსკოვისა და თეირანის ხელშეწყობით ახორციელებს, გადავა ქურთების მიერ კონტროლირებად აფრინის პროვინციაში. რუსეთი, სავარაუდოდ, ამ ნაბიჯს მხარს დაუჭერს, ვინაიდან ის მიმართულია აშშ-ისა და ქურთთა დემოკრატიული პარტიის ფრონტის წინააღმდეგ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თურქეთის ბოლოდროინდელი მოქმედებები ამ რეგიონში არ შეესაბამება თურქეთის წევრობას ნატოში. პირიქით, რუსეთიდან შეიარაღების მიღება და ირანთან დაახლოება ამის წინააღმდეგაა მიმართული.

ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ ბოლო დროს თურქეთის როლი ახლო აღმოსავლეთში საგრძნობლად გაიზარდა. ამას ხელს უწყობს ასტანაში მიღწეული შეთანხმებების განხორციელება სირიაში ირანთან და რუსეთთან ერთად. ეს თავისთავად ნიშნავს აშშ-ის როლის დაკნინებას.

კულუარული ინფორმაციით, აშშ-სა და რუსეთს შორის არსებობს გარიგება იმის თაობაზე, რომ ამ სახელმწიფოების ძალები დატოვებენ სირია-ერაყი-იორდანიის სასაზღვრო სამკუთხედს და მას სირიას დაუთმობენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის, რუსეთის, თურქეთის შეიარაღებული ძალების, სირიისა და ერაყის არმიების მოქმედებების შედეგად მოხდება რეგიონში დარჩენილი ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების სხვაგან გადანაცვლება და მათი რიგების შევსება. ეს გამოიწვევს ნეგატიურ პროცესებს სხვა რეგიონებში. მათ მომავალ ადგილსამყოფლად სახელდება ლიბია, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია. არ არის გამორიცხული ხალიფატის გაძლიერება კავკასიაშიც.

ისლამური სახელმწიფოს რიგებში საბრძოლველად რუსეთიდან წასული მუსლიმანებიდან უმრავლესობა ჩრდილოკავკასიელია. ბევრი მათგანი იქ შვილებთან ერთად წავიდა. ობლად დარჩენილი ბავშვების უმრავლესობა იმ ტერიტორიებზე იმყოფება, რომლებსაც ჯერ კიდევ ისლამური სახელმწიფო აკონტროლებს.

თურქეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობის მიუხედავად, მათი სპეცსამსახურები აგრძელებენ თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. ის, რომ ისლამისტები ველარ ახერხებენ თურქეთში ტერაქტების მოწყობას, ამის შედეგია.

თურქული მედიის ცნობით, 28 ოქტომბერს სტამბოლში ძალოვნებმა ტერაქტი აღკვეთეს. მათ დააკავეს 4 და გააუვნებელყვეს 2 ექსტრემისტი, მათ შორის 2 ქალი.

ისინი გეგმავდნენ იერიშს ბაირამფაშას რაიონში მდებარე სავაჭრო ცენტრზე. ამისთვის მის მიმდებარე ავტოსადგომზე გამზადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობებით სავსე მანქანა. იმავე დღეს ანკარაში ამ ტერორისტულ ჯგუფთან კავშირში ეჭვმიტანილი 49 უცხოელი დააკავეს. განზრახული იყო ტერაქტის მოწყობა 29 ოქტომბერს, ეროვნულ დღესასწაულზე – რესპუბლიკის დღეს.

# რატომ უცხადებს უარს საქართველო ინდოელებს ქვეყანაში შესვლაზე?

ინდურ გამოცემა „The News Minute“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულია ინდოელი ტურისტების ისტორია, რომლებიც საქართველოს საიმიგრაციო სამსახურმა ქვეყანაში არ შემოუშვეს და თბილისის აეროპორტიდან უკან, ინდოეთში დააბრუნეს (ავტორი – ჰარიპრია სურეში).

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, 19 ოქტომბერს ინდოეთის მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებმაც საქართველოში შესასვლელი ვიზა ელექტრონული წესით აიღეს და რომლებსაც შვებულების გატარება ამ ქვეყანაში სურდათ, საიმიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკებმა ჯერ თბილისის აეროპორტში აყურყუტეს, შემდეგ კი, ემირატების გავლით, ინდოეთში დააბრუნეს, ანუ იქ, საიდანაც საქართველოში გამოემგზავრნენ.

სტატიის ავტორი მიუთითებს, რომ ინდოეთის მოქალაქეებს ბილეთები კოჩის

აეროპორტში (ქერალას შტატი, სამხრეთი ინდოეთი) ჰქონდათ აღებული დაჯავშნის წესით და თბილისში შარჟას გავლით ჩავიდნენ. „სამწუხაროდ, მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: თბილისში ჩაფრენისთანავე ისინი დაუპატიჟებელი სტუმრების როლში აღმოჩნდნენ. „მართალია, კოჩის აეროპორტში გაგვაფრთხილეს, შეიძლება საქართველოში პრობლემები შეგექმნათო, მაგრამ, რადგანაც ჩვენ ყველა დოკუმენტი წესრიგში გვქონდა, საქართველოში წასვლა მაინც გადავწყვიტეთ“, – ამბობს ერთ-ერთი ტურისტი, ჰარი.

როგორც ირკვევა, ინდოელებისთვის შარჟას აეროპორტშიც (არაბთა გაერთიანებული ემირატები) უთქვამთ ჩინოვნიკებს, რომ უკვე ტენდენცია შეიმჩნევა – საქართველოდან ინდოეთის მოქალაქეებს უკან აბრუნებენ და გაითვალისწინეთ – მეტი ტანსაცმელი, წამლები და ორი დღის საკვები პროდუქტები წაიღეთ, რადგან აეროპორტში ლოდინი მოგიწევთო.



ინდოელებს თბილისამდე მშვიდობიანად მოუღწევიათ და აეროპორტის შენობაში, საიმიგრაციო სამსახურთან რიგი დაუკავებიათ. თან ამჩნევდნენ, რომ ჩინოვნიკები ინდურ პასპორტებს ეჭვის თვალით უყურებდნენ. თითოეული ცალკე ოთახში მიჰყავდათ და იქ 15-20 წუთის განმავლობაში ესაუბრებოდნენ.

– მეკითხებოდნენ, თან რამდენი ფული მქონდა. ვუთხარი, რომ 200 დოლარი. ეგ არასაკმარისიაო. ვუპასუხე, რომ გარეთ ჩემი ძმა დგას და რომ ფულის დიდი ნაწილი – 3 ათასი დოლარი მას აქვს, თან საკრედიტო ბარათიც. ვაჩვენე ბანკის ანგარიშის ასლი, მაგრამ ჩინოვნიკები შეუვალი აღმოჩნდნენ – არა და არა... ჩემი ძმა ამერიკაში ცხოვრობს, ამიტომ მას ნება დართეს, მაგრამ მისი ცოლს უარი უთხრეს, – ამბობს ჰარი.

მოკლედ, ინდოელები თბილისიდან იმავე რეისით უკან დააბრუნეს.

როგორც კორესპონდენტს კოჩის აეროპორტში დაუდასტურეს, მართლაც, ბოლო 3 თვის განმავლობაში

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ასტროპროგნოზი

## 30 ოქტომბერი



**ვერძი** – კონფლიქტი და საქმის გარჩევები დიდ ენერგიას გართმევთ. შემოქმედებით სფეროში მომუშავეებს გიმართლებთ. **კურო** – დღეს მიიღებთ იმას, რაზეც ადრე ოცნებობდით. ყოველმხრივ წარმატებული და კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ბიზნესის სფეროში დაკავებულებმა იფრთხილეთ. მოსალოდნელია დაღლილობა და დეპრესია. **კირჩხიბი** – ემოციური აღმავლობის დღეა. შთაგონება გეწვევათ, თუმცა სამსახურში უსიამოვნების ალბათობა დიდია. **ლომი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმამაცე გმართებთ. ლიდერობისკენ სწრაფვა პრობლემებს შეგიქმნით. **ქალწული** – შანსი გამოიყენეთ და ფორტუნა გაგიღიმებთ. ძალები სწორად გაანაწილეთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლა თამამად შეგიძლიათ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – ძალები ახალ სფეროში მოსინჯეთ. თუ გონიერებას გამოიჩენთ, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ. ენერგია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის დაზოგეთ. დღეს თავს დასვენებისა და გართობის უფლება მიეცით. **თხის რქა** – დაწყებული საქმე აუცილებლად განაგრძეთ. ერიდეთ ხმაურიან ადგილებს. **მერწყული** – შეცდომები თამამად აღიარეთ და გამოასწორეთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **თევზები** – ეს დღე ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუძღვენით. ნუ იძუნწებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი



1. ქალბატონო (ინგლისურად); 2. ხეთების ქალღმერთი; 3. მწერიჭამია ბალახი; 4. ... დეპარდიე; 5. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 6. ძველრუსული ოქროს ფული; 7. ებრაელთა ხმიადი; 8. ავტომობილების სადგომი ნაგებობა; 9. სამიანი ნარდში; 10. ძველრუსული სიგრძის საზომი ერთეული; 11. ... ბერნარი; 12. ურმის ტაბიკების გადასაბმელი თოკი; 13. ქალიშვილი (ინგლისურად); 14. პოლიციის მოხელე სოფელში ძველად; 15. ქალაქი უკრაინაში; 16. მდინარის მტაცებელი თევზი; 17. ელ ... (მხატვარი); 18. მიწასთან, დედამიწასთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი; 19. სანელებელი; 20. ესპანელი აზნაური; 21. ... სიბელიუსი; 22. პიანისტი ... რუბინშტეინი; 23. მცენარეთა სამყარო; 24. მერიმეს ნოველა; 25. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 26. სუსტი არაყი; 27. შლიმანის აღმოჩენილი ქალაქი-სახელმწიფო; 28. კავშირი (გრამატ.); 29. რძის პროდუქტი; 30 ... კალატოზიშვილი; 31. ტბა აფრიკაში; 32. ამერიკული ძუძუმწოვარი მღრღნელი; 33. ინგლისის თემთა პალატის წევრი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვიქტორია; 2. ყინჩი; 3. პრიშტინა; 4. ქემელი; 7. წნორი; 9. ალუჩა; 12. ალმადოვარი; 14. კულუხი; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. ორერა.

**თარაზულად:** 5. მისისიპი; 6. კირთაძე; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. ტიროლი; 13. ტრამალი; 16. მანიკური; 18. ჰინდი; 19. ცაიში; 21. ბრეხტი; 22. შიფონერი; 23. მიუსერა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფლეგმა; 2. აიდა; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. პასტელი; 8. ზუროსი; 9. ზინგშპილი; 12. ხუცესი; 14. კატარი; 16. ოკაცე.

**თარაზულად:** 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. ეპიზოდი; 9. ზღარბი; 10. რიყე; 11. კოფეინი; 13. ჟოკეი; 15. სულიკო; 17. ნიტრატი; 18. ვერსია; 19. ავერსი; 20. ჰელიოსი.

# სალომე ტეტიაშვილი ახალბედა კონკურსანტებს იცავს

მომღერალი სალომე ტეტიაშვილი ახალბედა კონკურსანტებს იცავს და ახალი მუსიკალური შოუს „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ მონაწილეების კრიტიკოსებს მიმართავს:




– კონკურსებში გამოსულ დამწყებ მომღერლებს ბოდიში და თავზე რომ ა.ვამთ, თან საჯაროდ, ნაირ-ნაირი სტატუსებით, ეს ნორმალურია? დღეს ვინც ჩამოყალიბებული მომღერლები ხართ, დაბადებიდან ეგრე მღერით თუ როგორაა თქვენი საქმე? პირველად რომ სცენაზე დადექით, დაიმხეთ დარბაზი? არ მესმის ეს დამოკიდებულება... თან როგორი ტიპები ილანძღებით, 2 წლიდან პედაგოგებთან რომ ცხოვრობთ და 356 პროექტი რომ გაქვთ მოგებული, ან თუნდაც, უბრალოდ, გავლილი. აცადეთ, რა, ადამიანები წვალობენ და ცდილობენ, ჯერ არ გამოჩენილან და ფსიქოლოგიურად ანადგურებთ. რა უბედურებაა.

# ბიორკი თბილისშია



ცნობილი მსოფლიო ვარსკვლავი ბიორკი უკვე თბილისშია. ის საქართველოში 12- კაციან ბენდთან ერთად ჩამოფრინდა.

ბიორკი მუსიკალური ექსპედიციის ფარგლებში საქართველოს რამდენიმე კუთხეს ესტუმრება და ქართულ სიმღერას გაეცნობა.

ბიორკის კონცერტის ორგანიზატორების განცხადებით, უკვე თბილისში ჩამოფრინდა ბიორკის ორივე კონცერტის დირიჟორი, ახალგაზრდა ისლანდიელი მუსიკოსი ბიარნი ფრიმან ბარნასონი.

ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებს ბიარნი ფრიმან ბარნასონი უკვე შეუერთდა. ბიორკი ცნობილ კომპოზიციებს სწორედ ორკესტრის სიმებიანი საკრავების თანხლებით შეასრულებს.

ბიორკი კონცერტებს 31 ოქტომბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზსა და 3 ნოემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართავს.

კონცერტებს თანამედროვე მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი სასტუმროების ქსელი ქართული ბრენდი რუმს ჰოტელსი წარმოადგენს.

ოპერის თეატრში გასამართ ღონისძიებაზე ბილეთები სრულად და 25 ქვეყნის მასშტაბით არის გაყიდული, ხოლო ფილარმონიის კონცერტზე მხოლოდ ბილეთების ნაწილია დარჩენილი, რომელთა ფასიც 200 ლარიდან იწყება.

ბიორკს განსაკუთრებული მოთხოვნა არ აქვს. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, მომღერლის ერთადერთი მოთხოვნაა, კულისები მთლიანად ყვავილებით იყოს მორთული.

# რეზო თაბუკაშვილი მოსწავლეებს ეძებს




მწერალი რეზო თაბუკაშვილი მოსწავლეებს ეძებს. მწერალი, რომელიც მამისა და ბაბუის ლაშა თაბუკაშვილისა და რეზო თაბუკაშვილი უფროსის გზას აგრძელებს, რამდენიმე მოსწავლის აყვანის სურვილს სოციალურ ქსელში გამოთქვამს:

– ავიყვან მოწაფეებს ცამეტიდან თხუთმეტ წლამდე. შევეცდები, დავანახო წიგნთან, მხატვრულ ლიტერატურასთან მიმყვანი გზები. გავაცნობ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურას. გავარჩევთ ამ პერიოდის წიგნებს და მათ ავტორებს. ვინც დაინტერესდით ამ წინადადებით, გთხოვთ, მომწეროთ ჩატში.

# ნაირა გელაშვილი 70 წლისაა



თანამედროვე ქართველი მწერალი ნაირა გელაშვილი იუბილარია. ის 70 წლის გახდა.

მწერლის იუბილეს ცნობილი გერმანული გამოცემა გამოეხმაურა და ცნობილი კრიტიკოსის ტილმან შპრეკელსენის საინტერესო სტატია გამოაქვეყნა სათაურით „სასიყვარულო დუელი მოყმესა და რილკეს შორის“.

ტილმან შპრეკელსე ნაირა გელაშვილის შემოქმედების მიმოხილვისას რომანს „მე ის ვარ“ გააზრებულად, ჭკვიანურად შერჩეული ლიტერატურული ფორმების ტრიუმფად აფასებს, ხოლო მომავალი წლის გაზაფხულზე საბჭოთა პერიოდში დაწერილი და აკრძალული ნოველის „მივემგზავრები მადრიდს“ გერმანულენოვანი თარგმანის გამოსვლას აანონსებს.

# დერჩის ეკლესიაში საკონსერვაციო სამუშაოები დასრულდა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დერჩის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეორე ეტაპი დაასრულა.




სამუშაოები, რომელიც გამოცხადებულ ტენდერში შერჩეულმა მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფმა განახორციელა, სააგენტოს ბიუჯეტით დაფინანსდა.

რესტავრატორების მიერ თაბაშირით შელესილი ქიმები ჩანაცვლდა ავთენტური მასალით. დაზიანებული ქიმები შეივსო კირით, თაბაშირით შელესილი ნაკლული ადგილები და ბზარები ჩანაცვლდა ავთენტური მასალით. კედლიდან ჩამოხსნილ მხატვრობას მოსცილდა ზედაპირული ჭუჭყი, უკანა მხარე გასუფთავდა თაბაშირისგან და მოხსნილი ფრაგმენტები კვლავ დამაგრდა პირვანდელ ადგილზე.

დერჩის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეორე ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ 45.700 ლარი შეადგინა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# რატომ უცხადებს უარს საქართველო ინდოელებს ქვეყანაში შესვლაზე?

დასაწყისი მე-10 გვერდზე

მხოლოდ ამ აეროპორტის მეშვეობით საქართველოში წასული მოქალაქეებიდან 18 უკან იქნა დაბრუნებული.

– საქართველომ თავისი იმიგრაციული წესები გაამკაცრა, მაგრამ არანაირ მკაფიო ახსნა-განმარტებას არ იძლევა, რატომ აბრუნებს უკან მაინცდამაინც ინდოელ მოქალაქეებს. როცა პასუხი მოვითხოვეთ, გვიპასუხეს, რომ უკან დაბრუნებულ მგზავრებს საქართველოში შესვლის უფლება არ ჰქონდათ, – ამბობს გაზეთის ჟურნალისტთან საუბრისას ინკოგნიტო ჩინოვნიკი.

კიდევ ერთი წყარო, რომელსაც ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება, აცხადებს, რომ ბევრი მოქალაქე საქართველოს ტრანზიტის ქვეყნად იყენებს აშშ-ში გასამგზავრებლად.

– ამის გამო საქართველოსა და აშშ-ის შორის დიპლომატიური პრობლემებიც წარმოიქმნა. ასე რომ, საქართველოს მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების დასამშვიდებლადაა გამიზნული, – გვეუბნება ინფორმატორი.

ჩვენს მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ საქართველოს ხელისუფლება პირველად არ აძევებს ქვეყნიდან ინდოელ მოქალაქეებს. ასე მოხდა, მაგალითად, ივნისში ჩვენი მოქალაქე ჰუშბუ ქოჩალის მიმართ, როცა იგი, ახალგაზრდა ქალი, საქართველოში ტურისტად წავიდა, თბილისის აეროპორტიდან კი გარეთ აღარ გაუშვეს, ცხრა საათი ალოდინეს და ბოლოს უკან დააბრუნეს. ჰუშბუ ქოჩალის დრამატული ამბის მასმედიაში გახმიანების შემდეგ ბევრმა ინდოელმა განაცხადა, რომ მსგავსი თავგადასავალი თბილისში მათაც გადახდათ.

დიდი ძიება არ სჭირდება იმას, რომ ბოლო თვეებში საქართველოდან გამოძევებულ ინდოელთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა. ერთ-ერთმა ტურისტმა ბლოგერმა შივა ნათხმა, რომელმაც თვითონ გამოცადა საქართველოს სინამდვილე, რეაგირებისათვის ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სუშმა სვარაჯსაც მიმართა და საქმეში ჩარევა სთხოვა. ამის საპასუხოდ ინდოეთის საელჩომ ერევანში (სომხეთი) მხოლოდ ის განაცხადა, რომ ინდოეთის მოქალაქეებმა უმჯობესია თავი შეიკავონ ელექტრონული ვიზის მეშვეობით საქართველოში ჩასვლისგან.

# თეონა ჭალიძე: „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების გაყალბების ყველაზე დახვეწილი მეთოდი გამოიყენა“



„ახალი საქართველოს“ სათათბიროს წევრი თეონა ჭალიძე მმართველ გუნდს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ახალი საქართველოდან“ აცნობეს, არჩევნებზე მოქალაქეების პერსონალური მონაცემების მასობრივი გამოყენება მოხდა. თეონა ჭალიძის თქმით, „ქართულ ოცნების“ წარმომადგენლები მოქალაქეებს ურეკავდნენ და საარჩევნო უბანზე გამოცხადებას სთხოვდნენ. მისი შეფასებით, ამ ფორმით ამომრჩეველზე ირიბი ზეწოლა ხდებოდა, რითიც მოქალაქეების თავისუფალი ნება შეიზღუდა.

– „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების გაყალბების ყველაზე დახვეწილი მეთოდი გამოიყენა. მოქალაქეების პერსონალური მონაცემების გამოყენება ასე მასობრივად არც ერთ არჩევნებზე არ მომხდარა.

„ქართული ოცნების“ სქემა შემდეგნაირად მუშაობდა. პირველი რგოლი უშუალოდ საარჩევნო უბნებზე მუშაობდა. რეგისტრატორების უკან განთავსებული „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების სახით, რომლებიც უშუალოდ სამაგიდო სიებიდან ახდენდნენ იმ ამომრჩეველთა რიგის ნომრების ამოწერას, რომლებიც უკვე იყვნენ არჩევნებზე. აღნიშნული ნომრები გადაეცემოდა მეორე რგოლს, ანუ საარჩევნო უბნის გარეთ მდგომ „ოცნების“ უბნის კოორდინატორებს, რომლებიც წინასწარ გამზადებულ ცხრილში აღნიშნავდნენ მოსულ ამომრჩეველს და გადასცემდნენ მესამე რგოლს, „ოცნების“ ცენტრალურ შტაბს, საიდანაც ხდებოდა იდენტიფიცირება იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოცხადებულნი საარჩევნო უბნებზე.

ჩვენი ინფორმაციით, მათ თბილისის რაიონულ გამგეობებში არსებულ მონაცემთა ბაზებთან წვდომა ჰქონდათ. სწორედ ამ ბაზებში დაფიქსირებული ტელეფონის ნომრებით ხდებოდა მათთან დაკავშირება შემდეგი ტექსტებით: „კახი კალაძის შტაბიდან გირეკავთ, გთხოვთ გამოცხადდეთ საარჩევნო უბანზე“. მიმართვა სახელობით ხდებოდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ხდებოდა მოქალაქეებზე ირიბი ზეწოლა და თავისუფალი ნების შეზღუდვა, – განაცხადა თეონა ჭალიძემ.

მისივე თქმით, ის, რომ „ქართულ ოცნებას“ ბაზებთან წვდომა ჰქონდა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა, რაც კანონდარღვევას წარმოადგენს.

**ინტერპრესნიუსი**

## პროგრამა

ოიშაბათი
30 ოქტომბერი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15, 02.10 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 01.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 13.30, 21.00 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 ქართ"დოკუმენტალისტიკა 15.00, 03.10 დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" 16.15, 04.10 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 17.15 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.35 "სპორტის დაფა" 22.00საფეხბურთო მიმოხილვა 23.00 მხ/ფ "**ერინ ბროკოვიჩი**" (ჯ.რობერტსი) 05.10 დოკ/ფ "გონების თამაშები" 05.40 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად " 06.40დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად"

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.40 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ნიჭიერი 00.30 მხ/ფ "**ამერიკული აფერა**" 03.00 მხ/ფ "**ნუგეში**" 04.55 მხ/ფ "**მკვლელობის სეზონი**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**ცხოვრების გზა**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 ხალხის პოლიტიკა 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 ღალატი

GDS 08.00 ან/ფ "ავატარი 3" 09.00, 19.00 სერ. სერ. "**ცისფერი სისხლი-4**" 11.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-4**" 13.00 სერ. "**ძვლები 11**" 15.00 მხ/ფ "**ჰიდალგო**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები-2**" 21.00 სერ. "**სპირალი 5**" 22.30 მხ/ფ "**სიმართლის მიღმა**" 00.45 მხ/ფ "**შვიდი**" 03.00 მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**" 05.30 მხ/ფ "**სახის გარეშე**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 პანორამა 00.00 მხ/ფ " **მუმია**" 3.40 ცენზურის გარეშე

06.15 ღვთის სახლი "ილორი"
06.50 პატერიკი-"მშვიდობისმოყვარე მოწაფის შესახებ" 06.55 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-კანადა, დიდი დათვის ტყე" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 ქვიშანი დარჩებიან "წმინდა ქეთევან დედოფალი" 10.40 თბილისის ტაძრები "მეტეხის ტაძარი" 10.50 დ/ფ "ერთი დღე რესტავრატორებთან" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**მაცი ხვიტია**" 13.30 ან/ფ "ფიფქია და 7 ჯუჯა" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "შუშანიკის წამება" 15.50 სპექტაკლი "გუშინწინ, გუშინ, დღეს..." 17.10 კონცერტი 18.10 მოკ. მხ/ფ "**ღვინის ქურდები**" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 კარაბადინი "ეგნატე ფიფია, მერაბ ფიფია" 20.00 საქართველო ევროპულ ოჯახში-"სოფლის მეურნეობა" 20.40 ძილი ნებისა "მტრობა" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი-"ბალავარის სწავლება ღვთის დიდების შესახებ" 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა "გეთსამანიის დედათა მონასტერი" 22.15 შარავანდედი "ექვთიმე თაყაიშვილი" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ილია ზდანევიჩი" 23.45 დეკორატიული ფლორა "ფიკუსი" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 ეპოქა და ადამიანები "ლევან თედიაშვილი" 01.30 კონცერტი

მაესტრო 10.00 - 23.30 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 ოქტომბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5612

ევრო — 2.9766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3531

100 რუსული რუბლი — 4.3941

**ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბრისთვის**




## 26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

**კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე**

ნაწილი I



**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## მამუკა ლორიას გრანპრი მიანიჭეს

რუსთაველის თეატრის მსახიობმა მამუკა ლორიამ სევასტოპოლში გამართულ წმინდა ვლადიმირის კინოფესტივალზე გრანპრი მიიღო.

ქართველ მსახიობს მთავარი პრიზი მამის როლის საუკეთესო შესრულებისათვის'მიენიჭა ფილმში „მან თქვა დედა“.



ამ ფილმში შესრულებული როლისთვის მამუკა ლორია რამდენიმე კვირის წინ საუკეთესო მამაკაც მსახიობად აღიარეს.

მამუკა ლორიასთან ერთად 17-წუთიან ფილმში მონაწილეობენ მზია არაბული, გია კორკოტაშვილი, თამარ მაყაშვილი, სოსო ლალიძე, მარინა ჯოხაძე.

ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი არსენ აგაჯანიანია, კომპოზიტორები კი – ზურა მახნიაშვილი და გია ყანჩელი.

## ციხე-სიმაგრე მოდინახე აღდგება

ციხე-სიმაგრე მოდინახე აღდგება და უპრეცედენტო მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ბაზაძემ მუნიციპალური განვითარების ფონდში ციხე-სიმაგრე მოდინახეს, ციხე-სიმაგრემდე მისასვლელი საავტომობილო გზისა და ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსის პროექტები წარადგინა.

პროექტების წარდგენა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით მოხდა.



ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით ქ. საჩხერეში ციხე მოდინახეს აღდგენა-მშენებლობა სამინისტროს მიერ 2018 წლის დაფინანსებაში ჩაისმება, ასევე ასფალტო-ბეტონის საფარი მოეწყობა საჩხერიდან ციხე-სიმაგრემდე მიმავალ საავტომობილო გზაზე.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების საკითხებში აქტიურადაა ჩართული საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე. პროექტის ავტორი ნინო ბაკურაძეა. მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

კაცს მატარებელმა გადაუარა. მიცვალებულს თვალები დაჭყეტილი დარჩა, ვერაფრით დაუხუჭეს. ცოლმა დაატირა:

– ახლა რომ გაქვს მაი თვალები დაყვლეპილი, მატარებელი რომ მოდიოდა, მაშინ სა იყავიიიიი?!

•••

ახალგაზრდა ქალი ხანდაზმულ მამაკაცს ეკითხება:

– რამდენი წლის ბრძანდებით?

– ოთხმოცის.

– ნამდვილად არ მოგცემდით.

– არც მინდა...

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ? როგორ გაქვს საქმეები? ოჯახში როგორ ხართ?

– ეეჰ, ნუ იტყვი. ისე გაგვიჭირდა, რომ ობობამ ქსელი აახვია და მეზობელთან გადავიდა.

•••

მამა ღვთისმსახურ შვილს ეკამათება. ამ დროს მეზობელმა ჩამოიარა და ეკითხება:

– ხომ მშვიდობაა?

– ამას ჰქვია მშვიდობა, შვილს მამა რომ უნდა დაუძახო?!

•••

ყანიდან მომავალ კაცს მეზობელი ქალი შეხვდება გზაში და ეკითხება:

– ანეტა, რავა მოსუქებულხარ, ორსულად ხომ არ ხარ?

– გაგიხმეს ეგ ენა, ქმარი მე არ მყავს და საყვარელი და ფეხმძიმედ რავა ვიქნები?!

– ეგ არაფერი, ეფროსინეს ღორსაც არ ჰყავს არც ქმარი და არც საყვარელი, მარა ქე დაყარა 12 გოჭი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– სად აპირებ დასვენებას?

– იცი რა, ჩემს ბიუჯეტს გადავხედე და მივხვდი, რომ არ დავღლილვარ საერთოდ...

•••

ზამთარია, ცივა. კაცი ქუჩაში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დგას. ამ დროს ბავშვი გამოივლის და ეკითხება:

– ბიძია, რომელი საათია?

– ზაფხულში მკითხე ბიძია, ზაფხულში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დინამოს საქმე გორში დავით კირკიტაძემ გაუკეთა



**ჩიხურა-დინამო (თბ) 1:3**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 ქარდავა (15), 0:2 თოთაძე (41), 1:2 კვერნაძე (46), 1:3 შულაია (59)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი (ჰამზიჩი 64), გრიგალაშვილი, მირცხულავა, ფონიავა, განუგრავა, კაკუბავა, ლექვთაძე, კვერნაძე (გაბედავა 61), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი (ივანიშვილი 67), დეკანოიძე

**დინამო:** ლიტოვჩენკო, გეგეჭკორი, სალუქვაძე, თოთაძე, კობოური, ქარდავა (გადრანი 90), ზარია (ნინუა 80), კიტეიშვილი, შულაია, მიქელთაძე, ქავთარაძე (ქოჩლაძე 83)

მატჩი მშვიდ ტემპში დაიწყო... პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მე-8 წუთზე ბექა მიქელთაძემ შორი მანძილიდან გაისროლა, ბურთი კი საჩხერელთა კარის ძელმა აისხლიტა. მომდევნო შეტევაში მასპინძელთა კარი უკვე ზურაბ მწყერაშვილმა იხსნა, როდესაც აკაკი შულაიას ძლიერად დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. დინამოელებმა უმატეს ზეწოლას და მე-15 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. ბაქარ ქარდავამ მოედნის ცენტრთან ახლოს მიიღო ბურთი, წინ წაიწია და ძლიერი დარტყმით თბილისელები დააწინაურა –1:0.

ერთ მომენტში კიდევ იყოჩაღა მწყერაშვილმა, რომელმაც ბექა მიქელთაძის დარტყმა მოიგერია. ტაიმის ბოლოსკენ დინამომ უპირატესობა განიმტკიცა – ლაშა თოთაძემ აკრეფილ ტემპს არ უღალატა და დაახლოებით 30 მეტრიდან საფირმო საჯარიმო დარტყმით აიღო ჩიხურას კარი – 0:2 და პირველი ნახევარი ესეც დასრულდა.

მეორე ტაიმი ერთი წუთის განახლებული იყო, როდესაც ოთარ კვერნაძემ ლაშა თოთაძის შეცდომით ისარგებლა და სხვაობა შეამცირა. ცოტა ხანში თოთაძე კიდევ ერთი გოლის გატანას შეეცადა, მაგრამ მისი გასროლილი მცირედით ასცდა მწყერაშვილის კარს.

სამაგიეროდ, 59-ე წუთზე ოთარ კიტეიშვილის ტექნიკური გადაცემა აკაკი შულაიამ მიიღო, ერთი შეხებით მეკარეს გასცდა და დინამოს ორბურთიანი უპირატესობა აღუდგინა.

ცოტა ხანში მიქელთაძე-კიტეიშვილის კომბინაციაა აღსანიშნავი, თუმცა ბოლო გადაცემა არაზუსტი გამოდგა და სახიფათო მომენტიც განიმუხტა. დარჩენილ დროში მატჩის რიტმმა დაიკლო და აღსანიშნავი საგოლე მომენტი, თუ არ ჩავთვლით კიტეიშვილის სწრაფ შეტევას, აღარც ყოფილა. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა 3:1 იმარჯვა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ანა ურუშაძე თურქეთში დააჯილდოვეს




რეჟისორი ანა ურუშაძე და მისი ფილმი „საშიში დედა“ თურქეთის ქალაქ ანტალიაში გამართული რიგით 54-ე საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა.

ანას ფილმი საქართველომ წელს ოსკარზე საუკეთესო უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაშიც წარადგინა.

მანამდე კი ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარი თურქეთში დააჯილდოვეს. ანტალიის რიგით 54-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ანა ურუშაძის „საშიშმა დედამ“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ჰავა; 5. მხლად სახმარი ბალახოვანი მცენარე; 7. ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო ასაცრელი პრეპარატი; 9. გადასინჯვა (ლათინურად); 10. შინაური ფრინველი; 13. დიდი, ღრმა ბზარი; 14. დიდი ტროპიკული ხვლიკი; 15. შუშა; 19. ხეობა აღმოსავლეთ საქართველოში; 20. დამამშვიდებელი სამკურნალო პრეპარატი; 21. პაპის შემდგომი სასულიერო ხარისხი კათოლიკურ ეკლესიაში; 22. ვინმეზე დამოკიდებულ ადამიანზე იტყვიან.

**შვეულად:** 1. ყლორტის ან ყვავილის ჩანასახი; 2. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 3. წინასწარმეტყველი ქალიშვილი ძველ ბერძნულ ეპოსში; 4. იუპიტერის თანამგზავრი; 6. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 8. მსხვილი მახრჩობელა გველი; 11. წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი; 12. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 16. ცომისებრი მასა; 17. ზრდადაუსრულებელი დედალი; 18. ბანქო.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

